ქართველობის გადასარჩენად



# ილორი



«ის კი არაა სირცხვილი, რომ მეგრულად საუბრობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენ ქართველებს არ გვესმის მეგრული», — აკაკი შანიძე.

№440 (499) 21 ნოემბერი - 4 დეკემბერი 2018 წ. სახალხო მოძრაობა «სამეგრელოს» ორგანო

## «მიშარასტებს» ხომ ყველაფერი ჯობია?!
5





ახლა მთავარია, რომ გრიგოლ ვაშაძე არ «გაგვიძვრეს» პრეზიდენტად, რადგანაც ეს «მიშარასტების» ხელისუფლებაში დაბრუნების რეალურ პერსპექტივას ნიშნავს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისას! აქედან გამომდინარე, ქართული ოცნების მიმართ საფუძვლიანი პრეტენზიები დროებით გვერდზე უნდა გადავდოთ და ხმა სალომე ზურაბიშვილს მივცეთ და «ქოცებს» მოსაკითხი, მერე მოვკითხოთ!



## ევროპელების და ამერიკელების სასიკვდილო ცოდვები, ანგლო-ამერიკული იმპერიების რასისტული საფუძვლები
4

## ზუგდიდის მერიას მოქალაქეების რეკომენდაციების გათვალისწინება მოუწევს
3

## ზუგდიდელმა ახალგაზრდამ მეგრული ენის გადასარჩენად ონლაინ-ლექსიკონი შექმნა
2



## დაბა ჩხოროწყუს ქალაქის სტატუსი მიენიჭა





2



## აფხაზეთში პირველი თოვლი მოვიდა
2

## ბჭარათ დო ბრაგადუათ ნანაში ნინაშა
6




მარგალური გვალო შხვა რე, —
ართო ბჟა დო ართო ცა რე,
დიდაშ ფართო კართე რე დო
მუმაშ ცვანა დო ფაცხა რე.
ცოროფაში წყურგილე დო
ლორონთიში აბარწა რე,
უჩა ბორჯიშ ალნანგარა,
გურიშ ელნაკარკაცა რე.
ლაშა გახარია

# დაბა ჩხოროწყუს ქალაქის სტატუსი მიენიჭა



**მთავრობის გადაწყვეტილებით, დაბა ჩხოროწყუს ქალაქის სტატუსი მიენიჭა. ამის შესახებ ვიცეპრემიერმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ სახალხო დღესასწაულ „კოლხურ შემოდგომაზე“ შეკრებილ მოსახლეობას განუცხადა.**

„დაბა ჩხოროწყუ ქალაქი გახდა, როგორც დასახლების კატეგორია“, — აღნიშნა მან.

**გიორგი გახარიას საპატიო ჩხოროწყუელის წოდება მიენიჭა.**

დღესასწაულის ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიება. საბავშვო ბაღების აღსაზრდელებმა მეგრული ყოფის ამსახველი ეთნოგრაფიული კუთხეები მოაწყვეს. წარმოდგენილი იყო მეგრული სამზარეულოც.





# ზუგდიდელმა ახალგაზრდამ მეგრული ენის გადასარჩენად ონლაინ-ლექსიკონი შექმნა

**ზუგდიდელმა ბიჭიკო (ჰარი) კოდუამ პირველი მეგრულ-ქართული და ქართულ-მეგრული ონლაინ ლექსიკონი შექმნა. ონლაინ-ლექსიკონის ავტორი პროფესიით ინჟინერია ინფორმატიკის განხრით. ამ ეტაპზე ესტონეთში, ტალინში სწავლობს. ის ტექნოლოგიური და ტარტუს უნივერსიტეტების კიბერუსაფრთხოების გაერთიანებული სამაგისტრო პროგრამის დამამთავრებელი კურსის სტუდენტია.**

ბიჭიკო კოდუა აცხადებს, რომ ლექსიკონის შექმნა მიზნად მეგრული ენის პოპულარიზაციას ისახავს. „თანამედროვე მეგრული გაჯერებულია ქართული და რუსულენოვანი შესატყვისებით. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტე შემექმნა ონლაინ ლექსიკონი, რომელიც მოსახერხებელ საძიებო სისტემას შესთავაზებდა საიტის ვიზიტორებს და ამასთანავე, მეგრული ენის შენარჩუნებას შეუწყობდა ხელს“, — განმარტავს ის.

**ამ ეტაპზე ლექსიკონი 120,000-ზე მეტ სიტყვას მოიცავს. კოდუას თქმით, megrulad.ge ჯერ დასრულებული არ არის და დამუშავება სჭირდება.**



# აფხაზეთში პირველი თოვლი მოვიდა

**აფხაზეთში, მთიან კურორტ ავადხარაზე პირველი თოვლი მოვიდა. ფოტოებს ვიდეომასალასთან ერთად, კურორტზე მოქმედი პანსიონატი ავრცელებს. თოვლის სიმაღლე 40 სანტიმეტრია.**

პანსიონატის წარმომადგენლის, ასტან არისთავას თქმით, აფხაზეთის მთისპირა ტერიტორიებზე ზამთარმა ერთი თვით დაიგვიანა. წინა წლებში პირველი თოვლი სექტემბრის ბოლოსთვის მოდიოდა.

კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი აფხაზეთში, გუდაუთის მუნიციპალიტეტში მდებარეობს, ზღვის დონიდან 1600 მეტრზე. ის რიწის ტბიდან 18 კილომეტრით არის დაშორებული.

## ალექსანდრე მოწერელია:

# ჩვენ შევძლებთ აფხაზეთში მცხოვრები ახალგაზრდების დაინტერესებას, მოზიდვას და ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრაციას



**სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ალექსანდრე მოწერელია ოკუპირებულ აფხაზეთთან ახლოს მდებარე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საზღვრისპირა სოფელ რუხში ინოვაციების ცენტრის გახსნის ცერემონიას დაესწრო.**

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მაქსიმალურად არიან ჩართულნი რეგიონის ეკონომიკური განვითარების პროცესში. რუხის ინოვაციური ცენტრის პროექტი მათი აქტიური მხარდაჭერით განხორციელდა.

რუხის ტექნოპარკის გახსნის მიზანია, ადგილობრივმა მოსახლეობამ, კერძო კომპანიებმა და ადგილობრივმა მთავრობამ საკუთარი ბიზნესსაქმიანობის განვითარებისთვის გამოიყენონ აქამდე რთულად ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები და მიიღონ საჭირო ცოდნა, როგორც ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში, ასევე, მეწარმეობის განვითარების მიმართულებით.

**„სამეგრელოში ეს უკვე მეორე ინოვაციების ცენტრია. რუხში, ე.წ. საზღვართან ახლოს, ინოვაციური ცენტრის გახსნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამით ჩვენ შევძლებთ აფხაზეთში მცხოვრები ახალგაზრდების დაინტერესებას, მოზიდვას და ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრაციას. გარდა ამისა, ეს ცენტრი ხელს შეუწყობს სამეწარმეო და ბიზნესმოტივაციების ზრდას, რაც, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის“,** — განაცხადა ალექსანდრე მოწერელიამ.

ღონისძიებას, ასევე, ესწრებოდნენ: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ლაშა მიქავა და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ავთანდილ კასრაძე.

ახალ ცენტრში პროგრამირების, დიზაინის, მეწარმეობისა და სხვადასხვა ბიზნესმიმართულების ტრენინგები ჩატარდება. რეგიონის ახალგაზრდებს შესაძლებლობა ექნებათ, სახელმწიფოს მხარდაჭერით, თავიანთი ინოვაციური იდეები განავითარონ და რეალურ ბიზნესად აქციონ.

ინოვაციების ცენტრი განთავსებულია სოფელ რუხის ევროპული სტანდარტებით აღჭურვილ და სავაჭრო ცენტრ „რუხი მოლში“, რომელიც ენგურის ხიდიდან 600 მეტრში მდებარეობს და „საპარტნიორო ფონდმა“ ააშენა. მრავალფუნქციური ცენტრი 2016 წელს გაიხსნა. ე.წ. საზღვრის მიღმა მცხოვრებ მოსახლეობას საშუალება აქვს, სავაჭრო ცენტრის მრავალფუნქციური სერვისით ისარგებლოს. ტექნოპარკის გახსნა რუხის სავაჭრო ცენტრს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას შესძენს და ე.წ. საზღვრის მიღმა მცხოვრებ მოსახლეობას ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით საინტერესო ბიზნეს პროექტების განხორციელების საშუალებას მისცემს.

ეს არის მეშვიდე ინოვაციური ცენტრი, რომელიც 2016 წლიდან დღემდე საქართველოში გაიხსნა. 2016 წლის 4 ოქტომბერს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ ქალაქ ზუგდიდში მეორე ტექნოლოგიური პარკი გახსნა.

# სამეგრელოში დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ფოთის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, 1987 წელს დაბადებული ვ.გ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. ინფორმაციას შსს ავრცელებს. უწყების ცნობით, ჩადენილი დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

სამართალდამცველებმა, ბრალდებულის კუთვნილი ავტომანქანის ჩხრეკისას, ნარკოტიკული საშუალება ბუპრენორფინის შემცველი 49 აბი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.







# თბილისისა და ბათუმის შემდეგ სალომე ზურაბიშვილის ბილბორდის ნაცვლად ბიძინა ივანიშვილის ბილბორდი ზუგდიდში დაკიდეს



**ზუგდიდში საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის საარჩევნო ბანერებთან ერთად „ქართული ოცნების" თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის ბილბორდებიც გამოჩნდა.**

ბანერები ჯერჯერობით ქალაქის მთავარ მოედანთან და ბულვარის მიმდებარედ არის განთავსებული. გარდა ამისა, მოედანთან არსებულ მონიტორზე ვიდეორგოლი ტრიალებს, რომელშიც ბიძინა ივანიშვილი, თბილისის მერი კახა კალაძე, პრემიერმინისტრი მამუკა ბახტაძე, პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო და პრეზიდენტობის კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი არიან გამოსახული.

ბიძინა ივანიშვილის და პარტიის სხვა ლიდერების პლაკატები პირველად თბილისსა და ბათუმში გავრცელდა.

# ზუგდიდის საკრებულომ ახალი ბიუჯეტის განხილვა დაიწყო

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო.** „ჩვენ ვებ-გვერდზე უკვე არის კომისიებსა და ფრაქციებში დაგეგმილი განხილვების გრაფიკი. მასში მონაწილეობის შესაძლებლობა აქვს ნებისმიერ მოქალაქეს. მოვუწოდებ არასამთავრობო ორგანიზაციებს, მოქალაქეებს, რომ იყვნენ აქტიურები. რათა ბიუჯეტში მაქსიმალურად აისახოს საზოგადოების რეკომენდაციები და ინტერესები. საკრებულოს აპარატი არასამუშაო დღეებშიც კი მიიღებს მათ წინადადებებს", — განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა წოწერიამ.

ახალი ბიუჯეტის პროექტის განხილვა 10 დღის ვადაში უნდა დასრულდეს.

# ზუგდიდის მერიას მოქალაქეების რეკომენდაციების გათვალისწინება მოუწევს



**მოსახლეობა ზუგდიდის მერიას სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პრობლემის მოგვარებას სთხოვს და შესაბამისი თანხების მობილიზებას მომავალი წლის ბიუჯეტში. ეს საკითხები ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ" რეკომენდაციის სახით ადგილობრივ თვითმმართველობას უკვე გადაუგზავნა. საჭიროებების იდენტიფიცირება არასამთავრობოს ახალი პროექტის ფარგლებში მოხდა, ქალაქად და სოფლად შექმნილი სამოქალაქო საბჭოების მოქალქეებთან კომუნიკაციის გზით. რეკომენდაციები ჟურნალისტებს ორგანიზაციის ზუგდიდის ოფისის კოორდინატორმა არჩილ თოდუამ გააცნო.**

მისი განმარტებით, ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება მოძველებული მუნიციპალური ავტობუსების პარკის განახლება და მოსახლეობას მორგებული გრაფიკის დაწესება. ადგილობრივები ასევე ითხოვენ ქალაქსა თუ მთელ რიგ სოფლებში დაზიანებული გზის საფარის აღდგენას, წყალმომარაგების, კანალიზაციის და სანიაღვრე არხების გამართვას. არჩილ თოდუას თქმით, კიდევ ერთი საკითხი დადიანების სასახლის მიმდებარედ მოქმედი, სანახევროდ მოშლილი ატრაქციონის განახლებას შეეხება, დაზიანებული ელექტროგაყვანილობის აღდგენის პარარელურად.

იდენტიფიცირებულ პრობლემებს შორისაა შუქნიშნები, წაშლილი ზებრა გადასასვლელები, რაც ფეხით მოსიარულეთათვის ერთგვარ საფრთხეს ქმნის. ასევე, ენგურ-ქაღალდკომბინატის მცხოვრებლებს აწუხებთ გორგასლის ქუჩაზე, ეკლესიის გვერდით, დაჭაობებულ ტერიტორიაზე შექმნილი ანტისანიტარია, როცა ამ სივრცის დაშრობა და აქ სკვერის და ბავშვთა გასართობი ინფრასტრუქტურის მოწყობა შეიძლება.

ცალკეული სოფლის და ქალაქის მოსახლეობა ასევე ითხოვს საბავშვო ბაღებში სათამაშო მოედნების მოწყობას, ზოგ შემთხვევაში, ამორტიზებული შენობების ადგილას ახლის მშენებლობას, მინი საფეხბურთო სტადიონებს.

სოფელში მოქმედი სასაფლაოს ტერიტორიის შემოღობვა, საექიმო ამბულატორიების რეკონსტრუქცია, არასაკმარისი ნაგავშემკრები კონტეინერები, ანაკლიაში, ტურისტულად აქტიურ ზონაში საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოწყობა, სანაპირო ზოლის დასუფთავება, ახალკახათის ცენტრში ჭაბურღილის მოწყობა, ბიბლიოთეკაში ახალი წიგნების დეფიციტი, ეს ნაწილია იმ პრობლემების, რომელთა იდენტიფიცირებაც ორგანიზაციამ შეძლო.

მნიშვნელოვანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ დროულად დაიწყოს საჭიროებების შესწავლა, პრობლემების მასშტაბურობიდან გამომდინარე კი შესაბამისი მიმართვა მოამზადოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელზე, დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზების მიზნით.

„პრობლემების უმეტესობა, უნდა აისახოს ბიუჯეტში. რაღაც განსაკუთრებული რესურსების მობილიზებას ესენი არ საჭიროებენ. თუნდაც 35 მილიონის პირობებში, მუნიციპალიტეტს აქვს საშუალება, მოახერხოს მთელი რიგი თანხების ეკონომია. ჯობია მაქსიმალურად იყვნენ ორიენტირებულები ადმინისტრაციული ხარჯების ეკონომიაზე და ბიუჯეტის ძირითადი თანხა მიმართონ ინფრასტრუქტურული და კომუნალური პრობლემების მოგვარებაზე", — განმარტა არჩილ თოდუამ და დასძინა, რომ ორგანიზაცია სამოქალაქო საბჭოებისგან დამოუკიდებლად, დამატებით რეკომენდაციებს მერიას უახლოეს დღეებში წარუდგენს.

ზუგდიდის მერიაში აცხადებენ, რომ ყველა რეკომენდაციას, რასაც მიიღებენ, დეტალურად განიხილავენ და შესაძლებლობების ფარგლებში გაითვალისწინებენ, რათა 2019 წლის ბიუჯეტი მოსახლეობის საჭიროებებს მაქსიმალურად იყოს მორგებული.

ზუგდიდის საკრებულომ ახალი ბიუჯეტის პროექტის განხილვები უკვე დაიწყო. ეს პროცესი ათი დღის ვადაში უნდა დასრულდეს. ახალი ბიუჯეტის მოცულობა 34 მილიონ 500 ათასი ლარია.

# მომავალ წელს სამეგრელოში ცხოველთა თავშესაფარი აშენდება

**რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განცხადებით, 2019 წელს ცხოველთა თავშესაფრის აშენება ყველა რეგიონში იგეგმება. მათივე ცნობით, კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში კომპანიონი თავშესაფრების მშენებლობაზე მუნიციპალური განვითარების ფონდი ტენდერებს წლის ბოლომდე გამოაცხადებს, სხვა რეგიონებში მომავალ წელს.**



სამინისტროს განმარტებით, მუნიციპალური თავშესაფარი არაკომერციული დაწესებულებაა, რომელიც უზრუნველყოფს ცხოველთა პოპულაციის მართვას, კომპანიონი კი არის ცხოველი, რომელიც ადამიანს ჰყავს ესთეტიკური თუ სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ის ექვემდებარება ადამიანის მხრიდან მოვლას და პატრონობას.

მათივე ცნობით, თავშესაფარი განთავსდება შემოღობილ ტერიტორიაზე და აღიჭურვება ადმინისტრაციული და კარანტინის შენობებით, ვეტერინარული კლინიკით, ლაბორატორიით, ვოლიერებითა და ყველა სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურით.

სამინისტროში ამბობენ, რომ საერთაშორისო სტანდარტის თანახმად, თავშესაფარში აუცილებელია ხუთი ძირითადი თავისუფლების პრინციპის დაცვა — წყურვილის და შიმშილისგან თავისუფლება, დისკომფორტისგან თავისუფლება, ტკივილის, ჭრილობის და ავადმყოფობისგან თავისუფლება, თავისი სახეობისთვის დამახასიათებელი ნორმალური ქცევის განხორციელების თავისუფლება, გადაადგილების თავისუფლება, შიშისგან და სტრესისგან თავისუფლება.

თავშესაფარი ვალდებული იქნება აწარმოოს ცხოველთა აღრიცხვა და სტატისტიკა, ყველა ცხოველის სტერილიზაცია და ვაქცინაცია. ასევე, ცხოველის პატრონის დადგენის, ან ახალი პატრონის მოძიების მიზნით საჭირო ღონისძიებების განხორციელება, ცხოველთა დაცვის ორგანიზაციებთან ერთად ცხოველებზე ზრუნვისკენ მიმართული საინფორმაციო კამპანიების წარმოება.

მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფრის მშენებლობის საკითხი აქტუალური თემაა ზუგდიდის და მთლიანად, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონისთვის.

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციამ მაწანწალა ცხოველების თავშესაფრის მშენებლობაზე მუშაობა მას შემდეგ დაიწყო, რაც ზუგდიდის მერიამ განაცხადა, რომ თავშესაფრის მშენებლობისთვის მომავალი წლის ბიუჯეტში თანხა არ არის. გუბერნიის პრესსამსახურის თანამშრომლები აცხადებენ, რომ ცხოველებისთვის ინტერმუნიციპალური თავშესაფრის მშენებლობაზე მუნიციპალური განვითარების ფონდთან კონსულტაციები უკვე მიმდინარეობს. თავის მხრივ, ფონდში მოლაპარაკების წარმოებას ადასტურებენ, თუმცა ჯერ კონკრეტულს ვერაფერს ამბობენ.

# ევროპელების და ამერიკელების სასიკვდილო ცოდვები, ანგლო-ამერიკული იმპერიების რასისტული საფუძვლები

**დღეს მსოფლიოში მოდურია რუსულ იმპერიალიზმზე საუბარი, განსაკუთრებით ამერიკის სატელიტ ქვეყნებში, თუმცა არავინ ამბობს, რომ ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში დასავლური სახელმწიფოების იმპერიალისტური პოლიტიკა არანაკლები სისასტიკით გამოირჩეოდა, მათ მიერ კოლონიზირებული ხალხების მიმართ. ისტორიის სხვადა სხვა პერიოდში, დიდ და მძლავრ იმპერიებს ფლობდნენ: ჰოლანდია, ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია და ინგლისი, მაგრამ მასშტაბებით, როგორც ტერიტორიული, ასევე სისასტიკის თვალასზრისით, ბრიტანულ იმპერიას ყველანი ჩამორჩებოდნენ. ამიტომ, სტატიის მიზანი გახლავთ, დასავლური იმპერიების და მათი ნამოქმედარის ანალიზი მოხდეს ინგლისის და აშშ- ის მაგალითზე. შეიძლება ზოგიერთს გაუკვირდეს, თუ რატომ შეერთებული შტატებიც, მაგრამ მინდა ყველას შევახსენო, რომ ინგლისის იმპერიის დაისის შემდგომ, მისი პოზიციები საერთაშორისო არენაზე დაიკავა მეორე ანგლო-საქსურმა სახელმწიფომ აშშ-მა.**



აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ზოგიერთი დასავლელი ავტორი, ანგლო-ამერიკული (და არა მარტო) იმპერიალიზმის ერთ-ერთ დამახასიათებელ კომპონენტად მიიჩნევს რასიზმს და მათ მიერ მსოფლიოს სხვადსხვა წერტილში ჩადენილ ქმედებებს, რასისტულ საფუძველებს უძებნის. ამიტომ, ალბათ უპრიანი იქნებოდა ჩვენი მხრიდან, რომ ანგლო-ამერიკული ტანდემის იმპერიალისტური პოლიტიკა, რასისტული კუთხით გაგვეანალიზებინა და მიმოგვეხილა.

საკითხის ანალიზის დროს, აუცილებელია მოვახდინოთ დასავლურ ანთროპოლოგიაში არსებული ბაზისური სქემების მიმოხილვა და შემდეგ მისი განზოგადოება ანგლო-საქსური იმპერიების საგარეო პოლიტიკაზე. ამგვარი ბაზისური სქემა პირველად მოგვცა ცნობილმა ამერიკელმა ანთროპოლოგმა ლუის მორგანმა, რომელმაც ჩამოაყალიბა რასობრივი უთანასწორობის კონცეფცია. მაგალითისთვის, ის ზანგებს განიხილავდა, როგორც ადამიანების პრიმიტიულ სახესხვაობას. მისი კონცეფციის იერარქიზაციას თუ გავყებით მივიდივართ ცივილიზაციური კიბის მკვეთრ დიფერენციაციამდე. კერძოდ, იგი გვაძლევს საზოგადოებრივი მოწყობის სამ იერარქიულ მოდელს. 1) ველურობის მდგომარეობა (განვითარების უმდაბლესი საფეხური), 2) ბარბაროსული მდგომარეობა (განვითარების შუალედური საფეხური) და 3) ცივილიზაცია( განვითარების უმაღლესი საფეხური).

ველურობის მდგომარეობა გულისხმობს, ველურ პირველყოფილ ტომობრივ ურთიერთობებს, სადაც ინდივიდები წარმოადგენენ გარდამავალ საფეხურს, მაიმუნიდან ადამიანურობის მდგომარეობამდე. დამახასიათებელი ნიშან-თვისებები: სახელმწიფოს, დამწერლობის და მკვეთრად სოციალურ-კულტურული დიფერენციაციის არ არსებობა.

ბარბაროსული მდგომარეობა — საზოგადოებრივი მდგომარეობის ეს საფეხური, პირველზე უფრო მაღლა მდგომი გახლავთ, რომელშიც სახელმწიფო ფორმირებულია, თუმცა მკაცრად ცენტრალიზებულია, გააჩნია სოცილაური დიფერენციაციის მაღალი დონე, მაგრამ გამოირჩევა ნაკლებად განვითარებული კულტურით.

ჩივილიზაცია — საზოგადოებრივი ურთიერთობის უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს, რომელიც გამოირჩევა კულტურის მაღალი დონით და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის მაღალ ეფექტურობით.

ზემოთ ფორმირებული სამი ბაზისური იერარქიული მოდელის ფარგლებში, სრულიად შესაძლებელია მასში ჩართული ადამიანების დიფერენციაცია მოვახდინოთ განვითარების დონის შესაბამისად. 1) ადამიანი ველური, 2) ადამიანი ბარბაროსი და 3) ადამიანი მოაზროვნე, შესაბამისად, ცივილიზებული.

კიდევ ერთი ანგლო-საქსი მეცნიერი, შეფილდის უნივერსიტეტის პროფესორი ჯონ ჰობსონი, თავის ნაშრომში „მსოფლიო პოლიტიკის ევროცენტრისტული კონცეფცია" მორგანის მიერ შემუშავებულ სქემას მიუყვება და აღნიშნავს, რომ 1945 წლამდე დასავლეთში გაბატონებული გახლდათ აზრი, რომლის მიხედვით საზოგადობების მარკირება ხდებოდა კანის ფერის მიხედვით: თეთრი ადამიანები, ყვითელი ადამიანები და შავები. აღნიშნულ დიფერენციას ის სქემატურად შემდეგნაირად გამოსახავს:

თეთრი ადამიანი=ცივილიზებული (ევროპელი)

ყვითელი ადამიანი=ბარბაროსი (აზიელები და ლათინო ამერიკელები)

შავი ადამიანი=ველური (აფრიკელები, ამავე კატეგორიაში გაჰყავს ჩრდ. ამერიკის აბორიგენი ტომები, ანუ წითლები (ეს მისი ტერმინია)

თუ ჯონ ჰობსონს დავუჯერებთ, საზოგადოებების მარკირების ზემოთ ფორმირებულ მოდელი შეიცვალა 1945 წლის შემდეგ. მისი ხედვით, რასისტული მიდგომის შეცვლაში, თავისი წვლილი შეიტანა ადოლფ ჰიტლერის მიერ გატარებულმა ღია რასისტულმა პოლიტიკამ, რამაც იძულებული გახადა დასავლეთი ღია რასისტული მიდგომები, სუბლიმირებულ (შეფარულ) რასიზმით შეეცვალათ. კერძოდ, ეს გულისხმობს არ მოეხდინათ საზოგადოებების მარკირება კანის ფერის მიხედვით, მაგალითად, თეთრებად, ყვითლებად და შავებად. მის ნაცვლად, მოხდა დიფერენციაცია შემდეგი ფორმით: ცივილურები, ბარბაროსები და ველურები. როდესაც სუბლიმირებულ (შეფარულ) რასიზმზე საუბრობს, ყურადღებას ამახვილებს შემდეგ მომენტზე, რომ მისი აზრით, არ არსებობს ანთროპოლოგიური თუ კულტურული პლურალიზმის აღიარება და დასავლურ პოლიტიკას სურს, ყველაგან დანერგოს სოციალურ ურთიერთობათა ის მოდელი, რომელიც დასავლეთშია გაბატონებული და რომელსაც ის მიიჩნევს სწორად და მართებულად. ოღონდ, უნდა აღინიშნოს, რომ ამას აკეთებს ისე შეფარულად და სუბლიმირებულად, რომ მათი აზრით, მათზე დაბლა მყოფი სოციალური ორგანიზების ფორმებში, ჩართულ ადამიანებს არ მოიხსენიებენ ველურებად ან ბარბაროსებად, თუმცა მათი ქმედებები, სწორედ ჩამოყალიბებული იერარქიული სქემის ფარგლებშია მოქცეული.

**თუ გავიხსენებთ ისტორიულ ფაქტებს, ანგლო-საქსები მყარად პირველ ადგილზე იყვნენ მონობით ვაჭრობაში. მათ მიერ, სხვადასხვა ბრიტანული კომპანიების მეშვეობით გაყიდული შავი მონების რიცხვი, 17 საუკუნეში თუ წელიწადში შეადგენდა 25 ათასს „ველურს", უკვე 18 საუკუნეში იგი იზრდება 100 ათასი შავი ადამიანით. მეცნიერების გამოთვლებით კი, აფრიკამ მონათვაჭრობის პროცესში დაახლოებით 65-75 მილიონი ადამიანი დაკარგა. ამ შემთხვევაში, ჩვენთვის მთავარი არ არის გაყიდული შავი მონების ციფრებზე ყურადღების გამახვილება, არამედ „ცივილიზებული" ანგლო-საქსების დამოკიდებულება, მათი აზრით, მათზე დაბლა მდგომი რასების წარმომადგენლების მიმართ.** ბრიტანელი კოლონიზატორები აფრიკელი შავი „ველურების" (მონების), მხოლოდ გაყიდვით რომ იყვნენ დაკავებულნი, ეს შეიძლება ერთი ფაქტორით აიხსნას. კერძოდ, როგორც უკვე ითქვა, პირველ საფეხურზე იმყოფებიან ველურები, ანუ შავები, რომელთაც არ გააჩნიათ სახელწმიფო, შესაბამისად, თვითორგანიზების და სუბორდინაციის დაბალი ხარისხით გამოირჩევიან, რომელებსაც არ გააჩნიათ მოწინააღმდეგე პოლიტიკური სუბიექტის მიმართ სათანადო წინააღმდეგობის გაწევის უნარი. ამიტომ, მათ არ ანადგურებენ, არამედ იყენებნ, როგოც მონებს. როგორც ჰობსონი აღნიშნავს, **„მონათმფლობელებმა ველურები იმიტომ მოიგონეს, რომ მოეხდინათ მათი ექსპლუატაცია".**

თომას ჯეფერსონი – აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორი, თავისფულების დიდი მეხოტბე და ამავდროულად ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და სასტიკი მონათმფლობელი აშშ-ში. ამერიკული ორმაგი სტანდარტების ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო განსახიერებაა.



ნებისმიერ შემთხვევაში, მათი ქმედება იყო რასისტული, ვინაიდან განსხვავებული კანის ფერის, სოციო-კულტურული თავისებურებების და მენტალობის მქონე ადამიანებს განიხილავდნენ მათზე დაბლა მდგომ ინდივიდებად, ხოლო უარეს შემთხვევაში, ველურ ცხოველებად. ნააზრევის არგუმენტირებულად გამყარებისთვის, ამერიკის თავისუფლების დეკლარაციის ავტორის თომას ჯეფერსონის სიტყვებს გავაანალიზებ. იგი თავისუფლების დეკლარაციაში, განუყოფელ უფლებებად ასახელებს „სიცოცხლეს, თავისუფლებას და ბედნირებისკენ სწრაფვას". თომას ჯეფერსონის კონცეფციის არს თუ ჩავწვდებით, მისი ეს ხედვა უნდა გავრცელებულიყო ყველაზე. თუმცა როგორც მოგვეხსენება, იგი სიცოხლის ბოლომდე ერთ-ერთი უმსხვილესი პლანტატორი გახლდათ, რომლის პლანტაციებში მონური შრომით იყვნენ დაკავებულნი შავი ადამიანები ანუ „ველურები". გამოდის, რომ მისი თავისუფლების კონცეფცია ვრცელდებოდა, მხოლოდ თეთრებზე და არამცდაარამც სხვა რასის ადამიანებზე.

კვლავ მივყვეთ ზემოთ ფორმულირებულ სქემას და ანგლო-ამერიკელების ქმედებები განვიხილოთ, უკვე ცივილიზაციური კიბის ერთი საფეხურით მაღლა მდგომი ხალხების ანუ ბარბაროსების მიმართ. იერარქიული სქემის მიხედვით, ცივილიზაციას და ველურობას შორის შუალედურ მდგომარეობაში მყოფ ბარბაროსებს, ამ თეორიის მიხედვით გააჩნიათ სახელწმიფო შესაბამისი სტრუქტურებით ან ამ სტრუქტურების ჩანასახოვან მდგომარეობაში ყოფნით, გარკვეული დონის დიფერენციაციით, თუმცა ისინი განვითარების დონის მიხედვით, მაინც ჩამორჩებიან ცივილიზაციას. ე.ი. ბარბაროსები თვითორგანიზების და სუბორდინაციის შედარებით მაღალი დონით გამოირჩევიან, ვიდრე ველურები. შესაბამისად, მათ წინააღმდეგობის გაწევის უფრო მაღალი უნარი გააჩნიათ „ველურებთან" შედარებით. შესაბამისად, წინააღმდეგობა ქმნიდა წინააღმდეგობას, რაც იწვევდა ანგლო-საქსების მხრიდან ხალხების არა დამონებას, არამედ სისასტიკის ზრდის გამოვლენას, მასობრივი განადგურებამდე მისულს.

როგორც ისტორიული ფაქტებიდან ირკვევა, ანგლო-ამერიკელების პოლიტიკა ცვალებადია სქემაში გრადირებული ხალხების მიმართ. თუ ველურებთან მიმართებაში, სახელმწიფოს არ არსებობიდან გამომდინარე, წინააღმდეგობას ვერ ღებულობდნენ, ისინი მხოლოდ მონების ვაჭრობით და მათი ექსპლუატაციით შემოიფარგლებოდნენ. ხოლო, ხალხების მეორე სარტყელის ანუ „ყვითელი ბარბაროსების" მიმართ კი, მათი მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის უნარიდან გამომდინარე, მათი ქმედებები უფრო სასტიკი და დანაშაულებრივი ხდება. აქვე მინდა დავამატო, რომ ანგლო-საქსური სახელმწიფოების ისტორია გვიჩვენებს „ბარბაროსების" წინააღმდეგ, **მათი პოლიტიკის თავს მიხვევის მიზნით, არ ერიდებოდნენ არც ერთი სახეობის იარაღის გამოყენებასაც კი, ბირთვული იარაღით დაწყებული და ქიმიურით დასრულებული, რისი ისტორიული დამადასტურებელი ფაქტები არც თუ ცოტაა. მაგალითად, როდესაც 1914-1918 წლებში, ბრიტანეთის იმპერიის მიერ ერაყის ოკუპაციის პერიოდში, ადგილობრივი ხალხების მხრიდან წინააღმდეგობის ჩახშობის მიზნით, ბრიტანეთის მაშინდელი კოლონიის მინისტრი უინსტონ ჩერჩილი, კატეგორიულად მოითხოვდა ქიმიური აიარაღის გამოყენებას ადგილობრივი ხალხის მიმართ. ჩერჩილის მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ ჩემი აზრით, ალბათ დიდი ბრიტანეთის ისტორიაში ყველაზე დიდი პოლიტიკოსიც კი, უფრო დაბალ საფეხურზე მყოფი, ხალხების მიმართ წინააღმდეგობის ჩახშობის მიზნით მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებას ითხოვდა. მე უკვე აღარ ვამბობ ბრიტანელი კოლონიზატორების მიერ ჩადენილ ცოდვებს, აბორიგენი ავსტრალიელების და ჩრდლიოეთ ამერიკელების მიმართ.**

ყველას კარგად მოეხსენება, თუ როგორი ცინიკური სისასტიკით ხოცავდნენ ანგლო-საქსები ჩრდ. ამერიკის აბორიგენ მოსახლეობას, როდესაც პატარა ბავშვის სკალპში იხდიდნენ 3 დოლარს, ხოლო უფრო მოზრდილისაში კი — 6 დოლარს. როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ, 19 საუკუნეში ინდოელების რაოდენობა 3 მილიონს შეადგენდა, ხოლო იმავე საუკუნის ბოლოსთვის უკვე კი მათი რაოდენობა 200 ათასამდე შემცირდა.

არც სურვილი მაქვს და არც ფორმატი იძლევა საშუალებას, ანგლო-საქსების მიერ ადამიანურობის წინააღმდეგობის ჩადენილი დანაშაულობების აღსაწერად, ჰიროსიმა და ნაგასაკიში ჩამოგდებული ატომური ბომბით დაწყებული და ვიეტნამში დახოცილი 5 მილიონამდე ადამიანით დასრულებული, მხოლოდ მინდა ერთი ცნობილი ამერიკელი ისტორიის პროფესორის ფილიპ ტაფტის სიტყვები მოვიყვანო, რომელიც ძალიან კარგად აღწერს, ბრიტანელების მიერ შემქნილი მეორე ანგლო-საქსური სახელწმიფოს ნამოღვაწარს: **„ შეერთებული შტატების ისტორია, გახლავთ ყველაზე სისხლიანი და ძალადობით დახუნძლული ისტორია, ყველა სხვა განვითარებულ სახელმწიფოსთან შედარებით".**

**ირაკლი უბილავა**
პოლიტოლოგი

# «მიშარასტებს» ხომ ყველაფერი ჯობია?!

**გასულ ზაფხულს გამოვაქვეყნე წერილი სათაურით „გააჩერეთ, გააჩერეთ“ ანუ „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“, რომელიც ქართულ პოლიტიკაში მოულოდნელად შემოჭრილ „ქალბატონ პუბლიცისტ“ თაკო ჩარკვიანს ეძღვნებოდა და რადგანაც მას შემდეგ არა თუ გაჩერდა მთაწმინდის ბინადარის ქალიშვილი, რომ იტყვიან, აფრები უფრო აუშვა და იქამდეც მივიდა მისი ამბიციები, რომ ახალი, ე.წ. მესამე ძალაზე პრეტენზიის მქონე მოძრაობის ჩამოყალიბებაც განუზრახავს.**










## დავით მხეიძის საავტორო გვერდი

გასული საუკუნის 90-ანი წლების დასაწყისში, ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების მთავარ იდეოლოგად მწერალი გურამ პეტრიაშვილი მოგვევლინა. მეზღაპრე, რომელიც იდეოლოგობის პარალელურად არა მხოლოდ ქართული ენის სიწმინდეს იცავდა, არამედ გოგებაშვილის დედა ენის ახალი სიტყვებით „გამდიდრებასაც“ ცდილობდა. მაგალითად: ვიოლინო — ყელფანდურა და ვერტმფრენი — ცათქვეფია იყო პეტრიაშვილისეული ქართული ენის ახალი განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით. ლექსიკონის, რომლის გამოცემა ცნობილ მიზეზთა გამო ვერ მოხერხდა. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობა გაშვებით...

სერიოზულად კი, ბატონმა გურამმა პრესაში გამოაქვეყნა წერილი სათაურით, „რამდენადაც მშვენიერი ხარ“, რომელშიც დიდ ქართველ მევიოლინეს, განებავთ მეყელფანდურე ლიანა ისაკაძეს ქართული მეტყველება დაუწუნა?!

პასუხად, ცხონებულმა კოტე მახარაძემ რომელიღაც გაზეთში გამოაქვეყნა ვრცელი წერილი სათაურით — „გააჩერეთ, გააჩერეთ“, რომლითაც არა მხოლოდ ლიანა ისაკაძეს იცავდა, არამედ „გააჩერეთში“ ავტორის ნებით თუ უნებურად, გამსახურდიას ხელისუფლების ოდიოზური სხვა პერსონებიც იგულისხმებოდნენ, რომელთა ნაკლებობას სამწუხაროდ, ნამდვილად არ უჩიოდა „მრგვალი მაგიდა“ და უფრო მეტიც — დღეს რომ ქვეყნის არაფორმალურ მართვას „აბრალებენ“ ბიძინა ივანიშვილს, მაშინაც იყო მსგავსი რამ ზვიად გამსახურდიას ცოლის, ცოლის დისა და მათი დაქალის შესრულებით — არჩვაძეების, მანანა ძოძუაშვილის „რეკომენდაციებით“ ხსნიდნენ და ნიშნავდნენ პრეფექტებსა თუ მინისტრებს და სწორედ ეს „წვრილმან-მსხვილმანი“ აღმოჩნდა თავიდათავი მიზეზი ჯერ-ჯერობით პირველი და ერთადერთი ეროვნული ხელისუფლების ჯერ დამხობისა და შემდეგ საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას დაღუპვისა!

რომ არა მეზღაპრე იდეოლოგები, მედოლე პრეფექტები, სახელწიფოს მართვაში პრეზიდენტის ოჯახის წევრების აქტიური ჩართულობა და ყველაზე მთავარი, რომ არა საქართველოს უზენაესი საბჭოდან კომუნისტების (რომელთა რაოდენობა საბჭოთა საქართველოში 400 ათასს აჭარბებდა) ერთი ხელის მოსმით გაყრა და აქედან გამომდინარე, წითელი ინტელიგენციის ცნების გაჩენა, ერთ მუშტად შეკრულ საქართველოს, ვერც ბალტინის ტანკები დააკლებდნენ რამეს და ვერც „ცერეუს“ აგენტები!

დაახლოებით ბოლო 2 წელიწადია, რაც კოტე მახარაძისეული „გააჩერეთ, გააჩერეთ“ აღმომხდება ხოლმე შულტირებული გულიდან, ტელეეკრანზე „ქალბატონი პუბლიცისტის“ თაკო ჩარკვიანის მორიგი გამოჩენისას — ხელოვნურად ოდნავ მოჭუტული თვალებიდან ზემოდან ქვემოთ საკუთარი უპირატესობის ხაზგასმულმა, აშკარად ასევე ხელოვნურად დაყენებულმა „არისტოკრატულმა“ მზერამ, ლამის ნახევარ საქართველოს ნევროზი დამართა — ამ ქალბატონის სხვადასხვა ტელეეთერებში სამშობლოს ბედზე ვაი-ვიში, ამპარტავნებასთან შერწყმული ფარისევლობაა და სხვა არაფერი!

ზემოთ თაკო ჩარკვიანის მისამართით ვახსენე სიტყვა პუბლიცისტი ბრჭყალებში იმიტომ, რომ, როგორც ლევან ლორთქიფანიძემ აღნიშნა „კავკასიის“ პირდაპირ ეთერში, „პუბლიცისტიკა არ არის ქმრის ფულებით მამის გაზეთში 2-3 სტატიის გამოქვეყნება, მითუმეტეს, რომ ამ სტატიებს არავინ კითხულობს“ მიუხედავად ამისა, როდესაც ეს ქალბატონი ტელეეთერში ზის, მის ქვემოთ მაინც ტიტრი, პუბლიცისტი თაკო ჩარკვიანი ფიგურირებს, რაც ჩემში აღშფოთებას იწვევს, რადგან თურმე თქვენი მონამორჩილი ტყუილად ვითხრი თვალებს კომპიუტერთან, რომ კვირაში ერთხელ მაინც რაიმე დავწერო, მაგრამ მიუხედავად ამისა ვერა ვარ იმისთანა თავხედი, რომ საკუთარ თავს პუბლიცისტი ვუწოდო იქით ილიას, აკაკის, ვაჟას და აქეთ გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიას და სულმთლად აქეთ ჩვენი თანამედროვეების გურამ ფანჯიკიძის, გურამ ასათიანის და ა.შ. სხვა მრავალ პუბლიცისტთა ქვეყანაში.

თუმცა, არც ეგ არის დიდი დანაშაული. პუბლიცისტი კი არა ასემც უქნია ჯულიეტა ვაშაყმაძე დაირქვას. მთავარი ის არის, რომ „პუბლიცისტი“ თაკო ჩარკვიანი სიცრუეს ავრცელებს ტელეეკრანებიდან. მაგალითად იმას, რომ ცხონებული ჯანსუღ ჩარკვიანი მთელი სიცოცხლე საბჭოთა იმპერიას ებრძოდა და იმას ვერ ხვდება „პუბლიცისტი“, რომ ასეთი „მამალი“ ტყუილით პირველ რიგში მამის სახელს აგდებს უხერხულ მდგომარეობაში — რა, საქართველოში არსებულ თითქმის ყველა პრემიებსა და ჯილდოებს, „ცეკას“ ნომენკლატურულ მაღალ თანამდებობებს, სსრკ-ს ნგრევისთვის აძლევდნენ ჯანსუღ ჩარკვიანს?

რა თქმა უნდა, კითხვა რიტორიკულია, რადგან სხვა შემთხვევაში გამოდის, რომ ან კომუნისტები ყოფილან სულელები, ან ქართველი საზოგადოება ჰგონია სულელი „პუბლიცისტ“ თაკო ჩარკვიანს!

მიუხედავად ამისა, „ღმერთი, რჯული“, ვერიდებოდი ქალბატონ „პუბლიცისტზე“ საუბარს, რადგან ვიცოდი უნებურად ამჟამად მთაწმინდის ბინადარ (?) ჯანსუღ ჩარკვიანის ხსენებაც მომიწევდა. ვერიდებოდი, რადგანაც ამ შემთხვევაში, წინამდებარე სტატიის ოპონენტები სხვა მრავალ სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად დროჟამისგან გაცვეთილი — „მიცვალებულზე ან კარგი, ან არაფერიო“, სენტენციითაც შემომიტევენ. სენტენციით, რომელსაც კატეგორიულად არ ვეთანხმები, რადგანაც გარდაცვალება ჩემის აზრით, არ არის ყველაფერზე თვალის დახუჭვის, პირში წყლის ჩაგუბების ინდულგენცია!

კიდევ ერთი სიცრუე, რომლის ტირაჟირებასაც შეფარვით ცდილობს ქალბატონი „პუბლიცისტი“, იმაში მდგომარეობს, რომ თურმე, ჯანსუღ ჩარკვიანი და ზვიად გამსახურდია ლამის თანამოაზრე მეგობრები ყოფილან და ერთად ანგრევდნენ საბჭოთა იმპერიას.

არადა მთელმა ქვეყანამ იცის, რომ თავის დროზე სწორედ ზვიად გამსახურდიამ გამოაქვეყნა პრესაში სტატია სათაურით „ჯანსუკი“ (სუკი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, ანუ იგივე „კაგებე“). სტატია, რომელშიც ერთგულ „მეგობარ-თანამებრძოლს“ ელემენტალურ პლაგიატობაში ამხილდა.

„ქალბატონი პუბლიცისტის“ კიდევ ერთი „მარგალიტი“ რად ღირს — მამაჩემი ქართველმა ხალხმა ააბრძანა მთაწმინდაზე და ის ორი ზვიადისტი ქალი, რომლებიც ტრანსპარანტებით აპროტესტებდნენ ჯანსუღ ჩარკვიანის მთაწმინდის პანთეონში დაკრძალვას, „გრუს“ გენერალმა, ნუგზარ ფოფხაძემ მოგვიგზავნაო, მაგრამ ვერას გახდნენო, რადგანაც პოეტს ნახევარი მილიონი (ავოეეე, სიცრუე, მაგრამ ასეთიც?) ქართველი მიაცილებდა უკანასკნელ გზაზეო — ციტირებაზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ შინაარსობრივად ნამდვილად ეს ბრძანა ჩარკვიანების პირმშვენიერმა ასულმა...

არადა, ნახეთ თავის დროზე რა ლექსი მიუძღვნა „ამთაწმინდებულმა“ პოეტმა საკუთარ მეგობარ ნუგზარ ფოფხაძეს:

„არც არავინ გაგიმართლა,
შენ სულ ყველას გაუმართლე,
ვინც ხელი არ გაგიმართა,
ყველას ხელი გაუმართე.
სიყვარულის სახლთა მშენი,
შვილთა აკვნის
გამთლელი ხარ,
სხვანაირად არ შეგშვენის,
თუ ნამდვილი
ქართველი ხარ.“

როგორც იტყვიან, უკომენტაროდ, მაგრამ ერთი კი ნამდვილად უნდა ითქვას — მსგავსი ოდიოზური გამოხდომები, რომ პირველ რიგში მთაწმინდის ბინადარს ურტყამს, ამას ვერ ხვდება ქალბატონი თაკო, ან საკუთარი მამის ლექსებს არ კითხულობს? ალბათ ვერა და არა, რადგანაც თუ „ცეკას“ მდივნობა „გრუს“ გენერლობას ნიშნავს, მაშინ იგივე ლოგიკით „ცეკას“ ნომენკლატურული თანამდებობები, რომლებიც ბატონ ჯანსუღს საზიზღარ კომუნისტებთან „ბრძოლის“ დროს ეკავა, „გრუს“ გენერლობას თუ ვერა, „კაგებეს“ პოლკოვნიკობას ნამდვილად გულისხმობს!

რაც შეეხება ნახევარი მილიონი ქართველის მიერ მთაწმინდაზე აბრძანებულ ჯანსუღ ჩარკვიანს — საინტერესოა თუ ვინ, რომელი თანმადებობის პირი იგულისხმება (ბატონი ბიძინა ხომ არა?) იმ ნახევარ მილიონ ქართველში, რომელმაც, რბილად რომ ვთქვათ, არაადეკვატური გადაწყვეტილება მიიღო. დიახ, არაადეკვატური და იქნება არასამართლიანიც, რადგანაც ბატონი ჯანსუღის მთაწმინდაზე დაკრძალვის ცნობამ, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნის ეფექტი იქონია იმ თვალსაზრისით, რომ იმთავითვე ადრტვინდა ქართველი საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა, მათ შორის, პოეტის სამეგობროც, რადგანაც სრული კონსენსუსით შეთანხმებულნი არიან, რომ, რბილად თუ ვიტყვით, ბატონი ჯანსუღი არ არის სამთაწმინდე კაცი და თუ სიმართლეს თვალებში ბოლომდე ჩავხედავთ: ილიას, აკაკის, ტატოს, ვაჟას, გალაკტიონის, გოგლას, ჭაბუას, მუხრანის და ა.შ. სხვა ბუმბერაზთა, უკაცრავად პასუხია და ფეხის ფრჩხილადაც არ ღირს „ლომთა ხვედრიას“ ავტორის პოეზია. აღარაფერს ვიტყვი დიდუბის ბინადარ დიდ პოეტებზე, ლადო ასათიანზე, ტერენტი გრანელზე, ირაკლი აბაშიძეზე, და ა.შ. სხვა მრავალზე, რომლებიც იქნება გამომრჩა.

ყველაზე კარგად ეს ჭეშმარიტება ბატონი ჯანსუღის „პუბლიცისტმა“ ქალიშვილმა უნდა იცოდეს და პირველ რიგში მას უნდა ეუხერხულებოდეს, რადგანაც კუთვნილზე მეტი პატივი ისეთივე მავნებელია, როგორც დაუმსახურებული ლანძღვა!

**P.S. საერთოდ, ამ ბოლო დროს, რაც კი პრესაში იბეჭდება, უმეტესობას არჩევნების მეორე ტურის „სუნი ასდის“ და აქედან, არც წინამდებარე წერილია გამონაკლისი, თუმცა ჩვენი მიზანი არ არის „ქალბატონი პუბლიცისტის“ განქიქება. არამედ, ყოველივე ზემოთ თქმულით გვინდოდა საზოგადოებისთვის დაგვენახებინა თუ „რა ღირს“ ის პოლიტიკური ძალა, რომლის ე.წ. ლიდერ-შიპი ქალბატონი თაკოა!**

**ახლა მთავარია, რომ გრიგოლ ვაშაძე არ „გაგვიძვრეს“ პრეზიდენტად, რადგანაც ეს „მიშარასტების“ ხელისუფლებაში დაბრუნების რეალურ პერსპექტივას ნიშნავს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისას!**

**აქედან გამომდინარე, ქართული ოცნების მიმართ საფუძვლიანი პრეტენზიები დროებით გვერდზე უნდა გადავდოთ და ხმა სალომე ზურაბიშვილს მივცეთ და „ქოცებს“ მოსაკითხი, მერე მოვკითხოთ!**

**მჯერა, რომ ამ საქმეში თავის გადამწყვეტ სიტყვას „ჩქიმი სამარგალოც“ იტყვის. დიახ, გადამწყვეტს, რადგანაც სამეგრელო ყველაზე მრავალრიცხოვანია ქართველურ ტომთა შორის. ეს ერთი და მეორე და უმთავრესი — სამეგრელო იყო ისტორიულად ქართული სახელმწიფოებრიობის ხერხემალი და ასეა დღესაც!..**

**დასასრულ, მცირე ლირიული გადახვევა ისევ „ქალბატონი პუბლიცისტის“ გასაგონად, რომელიც აღვირახსნილი რუსოფობიით გამოირჩევა და ყველანი, ვინც პრაგმატულობიდან გამომდინარე, რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აუცილებლობაზე ვსაუბრობთ, კრემლის აგენტები ვართ — „რუსეთთან ძმური ურთიერთობები უნდა აღდგეს და ეს უნდა მოხდეს ძალიან მალე“ — ეს ჩვენი ბრძენი და საყვარელი პატრიარქის სიტყვებია და რას ნიშნავს ეს, პატრიარქიც კრემლის აგენტია? პატრიარქი, რომლის მზესაც „ქალბატონი პუბლიცისტის“ მთაწმინდის ბინადარი მამა ფიცულობდაო, ამბობენ...**

# ბჭარათ დო ბრაგადუათ

* * *

ნოტე, მუ რე თი მასუმა –
შურ დო გურიშ შქას სვანჯუნი,
ვართ სი მუგოსვანჯუანც,
დო ვართ დუცუ უსვანჯუნი?
მუ დურუმცუ ინონდუმუ –
სერ დო დღაშით თოლ ვანჭუნი,
ვარა, თაშ მუქ ოშქურინუ,
ოჭკორიე ვამკანჭუნი?!
ვართ შურც ონდუ დო ვართ გურცუ, –
უკართე დო აკორთელი,
ვართ ცხადი რე, ვართ – სიზმარი, –
ოშქაშეს აკორტყელი;
ჩხანაშ ოროს მიშატყობუ –
ფულირი დო ფერერთელი,
ირ თოლიში თოლც მინი რე –
ბორჯის მიშამერეთელი …
თიშა ქიმიგორედასინ,
თეთ მითებუდ კოჩიშ ვალი,
ვადამონკენდ ქიანას –
ანართემათ ონათალი;
გურცუ ვამუბირცხუანდუ
ჩე ბირცხა დო უჩა ჯღალი,
თინა იიდ დუდმანჯღვერი
დო ლანჯღირიშ მალანჯღარი.

* * *

შოთაქ ხოლო თენა იკითხ:
თე ქიანა მუქ დარსხუა?..
ქიმიშინუ ქოთ შურწკონდა,
ქოთ მუმა დო ქოთი სქუა,
უკულ დიჭყ ოროფაში
ღორონთიშა მელერსუა,
მარა ჭარაქ გეიოსქირუ
ჭარუათ შირილ სუა!..
სით ბრელ იხანდ თეში გეშა,
სერ დო დღაშით, ბაბა კანტი,
გვალო დუდშა გემშახოხი,
ჭე მეგებულ სით დოლანტი,
ჩინებულ დო უჩინებუ
წკვერემიშე გეშახანტი,
დახე-დახე ქიმიოგორე,
დახე-დახე თოლ ქოწკანტი …
მარა ვართ სი მიგაგორუ
სინთეშა დო უკუმიშა;
ოჭკორიე კილერი რე –
უკულიში უკულიშა …
ვართ ჟი ბჟათენც, გიმე ხოლო
გენწყვილი რე – ყურყუმიშა,
მის უჩქ, მუ ხე ინინჭენი –
თე უქვინჯე ბუყუნიშა.
წიმე ხოლო უკული რე,
წიმე ხოლო გოშინა რე,
ამდღარიშა ნაბურდღინა
ირფელ შინიშ მოშინა რე,
უმოლეშა უმოლეში
მოხუჯურო მოძინა რე,
ტყურათ ლერჭყვაშ ყინტუა დო
გორჩქინელიშ გორჩქინა რე.
თაშ ვარედა, თქვა ქოთქვით:
მუ ჯოხო დო მურენ – თინა,
თე ქიანას ინოურშუ
დო ვარ გალე უძ ბინა?
მა ვართ შურით მიმაშურუ,
მუ ფქიმინა? – ვამიღ რჩქინა,
ფარფალიაშ ოღალ კოჩქ
ნამ მენცარემც მიშვარჩქილა?!..
მიჩქ, ბორჯის ბორჯ მობუ დო
ცას ორთვალო – ცა მუნართუ,
თოლწკურილო გილაბგორ,
სო ირთანცინ სინთეშ მართუ,
მარა იშენ ვემმაგორუ,
თოლწკურილც თოლქ მუმართ,
სო – ფულუ დო სო – შურენც,
მუ დურუმც ინომართ?!
ვართ ეშე რე, ვართ – გიმე,
ტყურელი რე წიმე ჯინა,
იშენ სო რე თე ხვამელი, –
მუშენ ვანჭუ თოლ დო ნინა?
ღორონთ, ღურუში აბარწაშე
ქუმაცალი გინოჯინა,
შურო თოლო დობლანტიდა...
სახელც ვარა ქიდიბჩინა!



* * *

ოროფაშა მის გაგინე,
მუ ზიმუნც იშ ღონეს?!
ბრელ იწვალეს მენცარეფქ,
მარა იშენ მიღორეს.
ანდანერო უჩხირკეს,
ოშ სახელი მიგონეს,
ამდღარ დღაშა ვაუჩქუნა,
ტყურათ მუ ჭა ინკორეს!
ვეწვალათ, მენცარეფი,
ვეგნირთათ გაძიცალო.
სოლე მურცუ ოროფანი …
ვაგეგინე ძათანძალო,
მუშ შარაშა მიაშქვით –
ვეგიაბინათ ყორყელც ძვალო,
ლაგვანიშ ქვინჯ მუს ალებე
უმენული მაჭარცალო?!
ღორონთქ თიშენ უხუტოლუ
ართიანც ძღაბ დო ბოში –
ჭარაშ მაჭარ მადგინუდ,
ჭე შხვანერი უღუდ ხოში!
მა, ეგება, ფჩირთუქუდა,
(ქუმმოფორეთ ნოორც ნორში),
მარა, ინა ვაჩირთუდ,
გოლუაფირო იშ ოროში.
ვართ ჩილათე: მუ მიჭარე
გურც გოფალირ ოროფაშა!
ვართ ოშქურუ გოლოფაშა
დო ვართ ხოლო ჭოროფაშა!
კოთაკონკის მულუანც,
ქიმიალუდა დუდქუ ჯაშა,
ღურუს ხოლო ვაწარინე
თე ღორონთიშ ჭყოლოფაშა!

* * *

მისით დუდი ქუორცინი,
ვემკინჭანც, მარებელც –
ირ ჭურჭიში მაცქვაფურცუ,
დუდიშ უგუხარებელც,
ფუთის ალნაფეფინას,
ქარიატაშ მალებერც,
ნინა – შქერიშ თოფურამც –
გემუანო მანებელც.
თეს თიშენი იბგანჩუქუ –
ნამარებუ ოსურ პუნცუ.
ხეშე მუთა გიშაზადე,
ნინათ ჯა დო ქუას ნწყუნცუ,
ვართ ორტვინ ორგ, ვართ ნახვილი,
ირო ყებურც ელაუცუ,
ღორონთქ დოჭყუ მარებელ დო,
დუცულაფი ჩქიმი დუცუ!
მარა სკვამი ოსურიში
მინჯეს ხოლო ვაულ სვანჯი:
ირო ახალ კაბა ოკო,
მინ – ციმუა, მინ – სარანჯი.
თოფურიში შურქ ქანთხუდა,
ბალდადიშე ქუმურც ჭანჯი,
ხათე ფეშერ ვაჟგერთიდა,
ხომ დიჭვი დო დიდარანჯი …
მუთუნ ვაუჯგ ნდარე ოსურც –
ვეჰარამათ ზისნახეფც,
ლერჭვას ვაყინტაფუანც
ანძვარებულ ყაზაყეფც.
მონჭვაცალო ქათირდუანც,
ქიგიწაფანც ბაღანეფც.
ვარა მიწით ოშ ორჩხეშო
მის უჭკადუ ართი ყამა?
ვართ მუშის ილანჯებუ,
(ვამენირზა, ვართ გამდღანა)
ორჩხე ხოლო უმოლე რე –
ოშ ლეკურიშ ეშნარღამა.
ქომონც ხოლო მეთხუებუ
ოსურიში მეფერაფა,
ოჯახიში აწოუნა,
სქუალეფიშ ხენჯღვერაფა.
მუთა ოცქვაფალ გოხოლუ
გალე-გალე გესერაფა,
ჩილიშ ხასლას კუსაფი დო
შხვაშ ოსურიშ მეკერაფა.
ჭერჭე კაბაშ მათხოზინე
კოც მონჭვათ მიოჩქ ჩილი.
გალე მეურჩხიალუაფ
მინ ორქო დო, მინ – ვარჩხილი.
სოიშა ძიქვა გიმგოლუნი,
ვებარდღალა, ქუმარჩქილი:
ტარ – სიმინცით უსკინჩანც,
მარა ქუმურც დამორჩილი!
ართშახ მათი გეგნოფჩირთი –
მოჭაჭილი კოჩიშ გეშა:
დიდ დიარას ართ ოსურქუ
გვალო ქუმკმონდღულუ ჩხეშა.
გალე ქოიჯინექია …
ქიმმოწურუ ოლაგეშა,
შქა შეფაშე გაგშაბჟიფი –
ვემკმოჯინუ მერქიფეშა!
სერ გოხოლუდ თუთარჩელა,
ქიმშვოცით ნაცალას,
ჩქი ორგიაქ მეცალესინ …
ღორონთქ ირკოც აცალას!
იმ წანას დოლო ვეიშ
დიხას – ჩქინი ნანწალას.
გუმაშინენ, ასე ხოლო
ხე დო ბირგულ ცანცალანც.
ქორთხინთ, მანგას გამგონათინ:
ვართ მა ბჯოგუ ხათუნეფი,
ართო ქობსურებუდას
თინეფიში პატონეფი!
მარა, ბაბა, სქვამი ცირა …
გან-განც გილნაფანდურეფი,
ჯარგვალიშა ვამლაიცად,
ვამნორდგუდა სართულეფი!
ქო, სქვამეფცით გიშეგორუ
ნაონა დო ჯინჯი ნწარე.
ართის ქომონჯ უორცინი,
მაჟია, ემერ, შხვაშ ნორცხვა რე!
ჭყიშიშ თოლი ვალარსხუდა,
ქოუჯგ, შური ვაწინწარე,
ზისნახეს მეჭარ, მარა,
ეშმაკიში ლახვაცა რე!..

* * *

ძღაბი გინმოძირესინი,
ფუჩონილირდ დამორჩილი.
მანჯეფც მერყეთ განჯარდ
წუწელ ორქო დო ვარჩხილი.
მეჯინელო მუთა უჭირდ,
წარ ქაფუდუ ჭე ნოჭკილი.
სუმ მურთაგას მუნოხედ დო
იშენ მოჩქუდ ტანმორჩილი.
მარაბელი ყაყაბით
გილაჩაკანდ, ოჩიცალო,
შურო ქოიანქიადა …
ა, დუია ოჩიჩალო.
დიანთილი კვარჩხ-მორძგვიშე
მორთინუანდ კონჭიცალო,
მუანთილი მიღვიზინანდ
მოტაბიკე ხოჯიცალო.
კითის ბეჭედ მუვონკალინ,
ქიმიოკუსუ ბედმეჭვილქ.
ხე გინუსვინ, აშ ქამოსქიდ
ნოხირ თუმაქ, მებეჭილქ.
– თაშით ძალამ ძღაბ რენია, –
ქათისქვამუ დიანთილქ.
ჩქიმ მაღაზაქ ქუგმაშინ –
ჭელც ისირი მიშართვილქ.
წორიშ წორც ქავოდირთი
ჯგირ ცხენი დო მაყარეთ.
ჯაკელა დო ტულუ დარგა
კვახჩათ გეგმაბტყაბარეთ,
რტყილ ნორცხვას ქაშვონკირით –
პიჯი გაგმიფსაქვარეთ.
ტაბაკიში გოხუნაშა
დიშქა აკოპყამბარეთ.
ორკოლქ ქათიკარკალუნი …
ქიმწიბჭყითი გინძე ბირა.
დუც იფთხილანდ – მერკეთ ფშუნდი
ღურუშ ღუშა ეკნახირა.
დარანაქ ყამარ-ძღაბო
მუმორთომუ უჩა ცირა …
უჩა მიმანჭუაფუდუ –
შურხეთ მოკოდ ალანჯირა!
ნაშქასერს გაკლეპწეწით
ტაბაჩეფიშ ტყვაჟაფით,
მართახიში ზღვანდალი დო
„ვოისა რადაშ“ რაბადით;
მოჭყუდ კეხშა აწომქვაქუდ –
გოქუნილი ნაბადით.
ნორჩალც მუსუთ მეფხვადინი …
აქ ვაფთქუა, მაპატით.
ნაონდღერც გაქშაბკურცხი –
უხანდელო შულადირქ.
ოსურქ შქართუნ ქაწიხუშუ, –
წარეფ აკომუნაფილქ …

# ნანაში ნინაშა



აბარწაშა გაგმიბჩანგალ
წყურბირგულეფ წყუნაფილქ,
ჯიმაცალო ქალმაბიჯ
თხირიშ ბიგაქ, ჩუნაფილქ.
დიდ საჩიარ ვამღუდეს,
უწი: ბრელი ვამახასე,
შხვაშ ნახონა უჩა ვანა
საონჯღორროთ ვამათასე.
დიდუ! გინოშუმილი რდი, –
მუთა რშუ დო, მიკირთ, ასე,
მეუ დო წყარი ქელამტიბე,
ვაგოკოდა, გეგნიბლასე!
გემწარ, მარა ვაგომირთ
ვართ რსქინქ დო ვართ ხვეწაქ;
კინე ალანჯირა მოფთხუ
მაზაკვალიშ ნაკვეცაქ.
კურთალარც ქუმაქანჩუ
ნორჩალიშე ნაქენჩაქ
თოლც ნოცეცხელქ გამწომციუ,
ეშე ვაშა ქოსხაპ წარქ!
გევოლი დო უორზოლეთ
გიმე ფუთშა გებჩი დუდი,
მაზანდარას ჩქიმ მარებელც
გეშუზალი დიდაშ მუნდი.
გიმე მუმაჟვარჟვალუდუ,
უმენულცუ, უფიშ ცუნდი,
წყურგილც ინვობირდინენი …
კვარჩხშე გინობრთუედ ქუდი.
ხუთ თუთას ქალვობიჯუდი,
კოლოშ თიათ მალთაყვას.
ჭყიშის ალვაბადალუდი,
ვემუღუდი უჩა ვას …
ჯიმადიქ გალმაკითხუ,
მარა მერკე თანაფას:
– მოლართია …ვარჷა უწი, –
ორინჯ გერდ შქა ხაფას.
ლანჯიშ ჯას ქიმკიპონუ,
გეკოკაშ მონკათ შური,
– სქუას მუგახვამანქია, –
მიწუნ სქირას ქიმშაბღური.
უკანკუო გეგნობყინტი
ყორყელც ათომარქვილ გური,
ჩოხუშ სქიბუს ქუდურთანდ
დუვობინი, ჩილამური.
ჩილიშ მოხ თენა მიწუ:
ჯგირ ფანდური უჩქუდუა,
ბოშემც უკარკალანდუნი
ჩუპა ხოლო ურჩქუდუა,
ნალობერაშ დაჩხირითი,
დახე უდე დუჭუდუა,
კურუამო გეგნობრაით, –
ჩილამურცუ ყურწუნდუა!
ოჭყუდური მუთა მუღალ,
ვართ უნაფუ ობზითური.
გეგნიქოს, მარა დიო
ნდღულაფირი ვარე თირი …
ირო კოლოს დოიზადენც,
ვაგუჩიდა ჯგირო გური,
ღორონთქ დოჭყუ იშ ნაქური,
ვარა, სოლე მუნონთირი?!
მენძელც მარდი მაშინე დო
ანწ უდეშა მოლა, ჯიჯი,
სქანობურათ გოცხვანტალე
ჯაშ ადესა დო კაჭიჭი;
საოსურო გორილ მაფუ, –
მინჯე ოკო დო ქემინჯი,
სახელც დო ონჯღორეს
ჯგუნჯგიცალო ქათაბიჯი!
ქაბლაცალო ქეკვაუნი
ბატაჯგუა ჯიმადის.
თურქიქ ხამ ქუმმოგუკონი
თით ქინალუდ ჩქიმ მარდის.
შარას ჭვიმაქ ქეკმოჭიშეს, –
ქათვაჭაჭით ჩქვიმ ბარდის;
ჭურია დო ნაბადა შქას
მი მოთხინდეს ნაბადის!
მოგოთანეს მედანც ვორდით,
ჯიჯის ჯოღორქ ქუმაზად.
ხომლა ლაკაცია, ვარა,
იცალ დაჩხირც მუ დარზანდ!
ნოსადიქ ტაბაკ მოხარგუ, –
ჯგირ დო სქვამი აკოზადუ,
ნახაფულა სელეგინი
ჩხე ღუმუსუ ქაშაზანთუ.
იძინანდუ ტაბაკი დო
აძინუდუ კოც კოჩი.
ჯიჯიქ ორჩხეშ ხამ გელენწყუ:
– გობჩხვამბარეთია ოჩი!
– აშო ქუმკომბუნეთია, –
ხამც ხეფორჩათ წრუნდ ჩოჩი …
ბეტარც ტყაბარანდესინი,
ქინჩის იფართხუნდუ ხოჯი.
– მუშენ გუმაცაცუდესინ,
გურქ ვამაჩინ ციორიშა;
მარებელიშ გორაფაშა,
ცირეფიში წიორიშა;
თოლით გითოზიმუაშა,
ჩონგურიში ხიორიშა;
ჯოღორამო სხაპუაშა,
უორთვალე ხიოლიშა!
ჯიმადიქ გომძიცუ დო
მოჭკვაჭკვილი გამნიღ ღართი;
– ჩქიმ კამათელქ დიშირუა,
სქან რდასია ანწი ნარდი!
ფრიმულ გიმე გეგმირცხონ,
ეშე ღორონც გინუგ მარდი.
სადადიოთ მობწკანტეს,
პაჭიჭეფით ქუმიბხართი.
ნოსადიქ გაგმომჭანუ:
– ზაკვილ ბედი დოინათია! –
ასე ტყობას ქეკმაუნი,
მითინც ვაგვაგონათია;
სქან ოსქვებურ შონიშ ცირა
ემერ ხე დო მოლართია,
გვეჯეშ უჩა მუთა მეძ, –
აშო გამნიპონათია.
მეურთუ დო მიოცქვანც
შონიშ ცირას, ზესნახეს:
– თუთა მიანატრუნია
ნანა-სქუა, იშ სახეს.
თით, სქანორო, ომბოლი რე,
ჰა, ბეჭედი, ქუმაგ ხეს …
დახე ვარა კინჩხ მიტახ
ულაბახე ოლაგეს.
– მედანიშა მიქ მიონუ –
გოუკვირე ნოსადის, –
ლუბეცალო ტიბუსუ დო
ნინა ჰამოთ მოზადილც.

– გვეჯეშ ჩილიშ დასქუა რე,
ოხორანა ყორათის;
სქან ნაოსურ ქიმშაღურუ,
მუნორძღელი ყორან თის!
ოჭკირაფუთ მივანჭეთ
გვეჯეშ ჭიშკარც, ჟვერ-ჟვერით,
ჯოღორამო ქაწმაზადეს,
ნუზუთუ დო ჯღერჟღელით.
ნაგვალ ოჩი გეიობუნეს, –
უჯ მიდელ ბერჯღელით.
გვეჯე ირო შინელი რდ
გურით სუმარც – მერძღელი რდ!
გემნანჯეს შკა კარი დო
გეგნმოძირეს გვაშაყანი, –
გურქ ქომბირ ხიოლით,
ქეუუნუ შურქუ ბანი!
შქაშ კით ვამიწყუნუაფუ
(ეს ქუვორდი მინარჩქვანი),
გვეჯე ჩხვერც გიმორღვანდეს –
ქილამი დო ბაშლაყამი!
უკულ წორო ქუდომტეს, –
წყორითია ართიანი.
– გვაშა-მაქ, ქუმუფერე
(ვართ მა ბზოჯუნდ მურზაყანი).
მეწონუ დო გომიძიცუ,
ვამცალებუ დიდი ხანი –
კირიბცალო ქიფხუტოლე:
– მა აგაფა, სი – ერქვანი!..
შონურ მუთა მიჩქუდ, მარა,
ქიგიფშინი, „ხოჩა დინა“ …
ჭე ქარჩქილედ მარგალური –
ხვამელიში გინარჩქინა.
ოროფას ართ თოლ ულუ,
ართ უჯი დო ართი ნინა,
ჩქით ართ ღორონც ქიმვოფუჩეთ
მუშ ოროში ათორინა.
უკულ ართი ჩხე ჯუნათ
დობებჭედეთ ართიანი,
ჩქინ ხუტოლიშ მუმაჯინე
შურც გოტენდ დადიანი.
გორჩქინუსუ ათქუედუ,
გურ გურც ქინვოხანტიანი,
ხიოლც ათუონუდითი,
ღორონთი დო მარდიანი!
ათენერო აკოფსქვითი
ჩქინ ულუ დო ჩქინი ბედი.



ულვენობას თოლქ დაწკურუ, –
ოროფაში მიღუდ მენდი.
მუქუთ აიშა გინობჭყორდინ
ვართ ფშუდუ დო ვართ ბნარღენდი,
ართშა ქუვორდ ნაბარგა დო,
მაჟიაშა ვებაბრგედი.
ნოსადიქ კარ გამნანჯუ
ქუკინებუდ კოჭოფ ხეს.
ხუტოლერი ქობძირესინ
ხე დო დუდი ქუგომლეს:
– ეს ანწ ხოლო ჭიშუთია,
თქუ დო, ქოონჯღორენდ ჭეს,
მარა მა მი პკითხენცია, –
თამადაქ მოიგორეს …
ეხანჩალერ ყაზახეფქ
ქურქენწით მაფშეს ჩაყვა;
ძოკოქ აფხაშ ოთოლარო
ოონალი გოწკანტ ჯაყვა,
„სისა ტურა“ მიოტუ დო
გაქთონთქილ თუს აყვაყვა.
ბერმუიაქ გამნიბირუ,
ალაურანდ უნგა ყვაყვა.

* * *

ფარა კოჩიშ მოღორე რე,
მუშენინი ...ვასინ ბრელც.
ჯიმას – გოიჯოგუანც,
ორტყაფუთუ გაშქვანც – გვერც.
მახინც – პაპათ დონათუნც,
ილორც გაგთოხვამანც – ჭყელც,
მუ ცოდა რენ … ამარ გიწინთ,
ვაუკათუა მოძინელც:
ფარამ კოც ლურ ვაულუ.
ვართ უფარე გეჯან ხუცუ.
ჰარამ გური მუს არძღინე –
ირო ხუშანც დო კუჭუნცუ.
შხვაშ ქონება ქოძირ და
დაჩხირ ქალარზამუ გურცუ,
ვართ თინა უჩქ, უვაიჭარეს,
ბრელ ფარას მუ მოუნცუ!..
ართის ფარა ალაქვაჩუნ,
თინა მაჟიას ორკ;
უხანდელო ნაშიბ ფარა
ჯიბეს ონტუ, მითას ორგ.
უფარობათ დაჩხირი რე,
თექ ბრელც შარა აკუბორკ.
ფარაშ შიბას უფი ოკო,
ვეხანდიდა, ეშ ვასორგ.
ვართ ნახირა ფარა ირგ –
ხათე წყორუნც კოჩიშ ფერც;
მახინჯ ღორონც ვაუორც –
ტყურათ გეხართ ჯვარ კისერც.
თაშ ვარდასინ, ჩე დღას მეჩანდ
დო ვართ ხოლო – უჩა სერც.
დუც ილორენც ხეჭყელ, ვარა,
ვართ მოლას წანც, ვართ – პირსელც.

**ლაშა გახარია**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №437-439 (496-498)

# ხალხი სულ სხვა აზრისაა: ხალხმა იცის სიმართლე!

## კიდევ ერთხელ იმაზე თუ ვინ რა იღვაწა და ვის რა ბრალი მიუძღვის აფხაზეთის ტრაგედიაში!

ბატონ ჟიულის წინადადებას, თბილისსა და გროზნოს შორის დიალოგის დაწყების შესახებ, უმალვე გამოეხმაურა პრეზიდენტი გამსახურდია: ის ნებისმიერი ფორმატისთვის იყო მზად, შევარდნაძე კი, ამას სამარისეული სიჩუმით პასუხობს! ბატონი ნაპოს წინადადებასაც — შეეწყვიტათ ანტიაფხაზური მიტინგები, შემოეშვათ სოხუმში ლეგიტიმური მთავრობის აფხაზური ნაწილი და დაეწყოთ დიალოგი მათთან რიგგარეშე არჩევნების ჩატარების შესახებ, ხელისუფლებისა და ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოს მესვეურებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ასე, ქართული მხარის მიერ სოჭის ხელშეკრულების ჩაშლისთანავე, როგორც ცნობილია, განახლდა საომარი მოქმედებები. მანამდე ხელისუფლების მიერ ცალმხრივად განაიარაღებული ქართული სამხედრო შენაერთები სირბილით ტოვებენ აფხაზეთს და შევარდნაძე-ნადარეიშვილის მიერ მოტყუებით მობრუნებულ (სოხუმს ჩიტიც კი არ გადაუფრენდა!) მშვიდობიან მოსახლეობას გააფთრებულ მოწინააღმდეგის პირისპირ ტოვებენ, არ განაიარაღებენ კოდორთან დაბანაკებულ 300 კაციან აფხაზურ დაჯგუფებას და, რატომღაც წინასწარ შეკეთებულ საკენ-ჭუბერის, ჯოჯოხეთის გზას უყენებენ მათ. ასეთია სიმართლე, თუ ვინმეს სჭირდება იგი! ხოლო ის, თუ ვინ რა იღვაწა და ვის რა მიუძღვის აფხაზეთის ტრაგედიაში, თავად განსაჯეთ!

ომის დროსაც, მის პირველ ეტაპზე, იყო ომიდან ღირსეულად გამოსვლის შესაძლებლობა. ასე, ომის დაწყებისთანავე, აფხაზური მხარე გამოდის ბატონ ნაპოსთან და ის, შევარდნაძესთან შეთანხმებით, ადლერში ხვდება ბატონ ოზგანს. აფხაზური მხარე მზად იყო აფხაზეთი გაეყო ორად: ისინი გუმისთის იქითა, ჩრდილო-დასავლეთ აფხაზეთს ითხოვდნენ, ხოლო ქალაქ სოხუმსა და დანარჩენ, სამხრეთ-აღმოსავლეთ აფხაზეთს უთმობდნენ ქართულ მხარეს: „Мы, ведь, малочисленный народ и нам этой территории хватит. Есть, ведь, в Европе такие маленькие государства, как Люксембург, Монако, Лихтенштеин, Мальта и др.“ — უთქვამს ბატონ ოზგანს. ასეთი გამაოგნებელი ინფორმაცია ჩამოაქვს ბატონ ნაპოს ადლერიდან, მას უსმენენ „გოსსაბჭოში“ და ყველაფერს უკომენტაროდ ტოვებენ. არც ახალ დავალებას აძლევენ. გაგანია ომის დროს გუდაუთიდან სოხუმში ჩამოდის შთამბეჭდავი დელეგაცია კონსტანტინე ოზგანის, ალექსანდრე ანკვაბის, ოლეგ დამენიას, ლეონიდ ლაკერბაიას და ვალერი კვარჭიას შემადგენლობით. ედუარდ შევარდნაძესთან შეთანხმებით, ხვდება მათ ბატონი ნაპო აფხაზეთის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ გოგა ხაინდრავას, დეპუტატ აკაკი გასვიანის და აფხაზეთის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, ა.წ. განსვენებული ავთანდილ იოსელიანთან ერთად. აფხაზური მხარე მზად იყო შეეწყვიტა საომარი მოქმედებები და მიჯდომოდა მოლაპარაკების მაგიდას: „Допустим, мы бросаем оружие, скажите какая будет Абхазия в составе Республики Грузия?!“ — ეკითხება კონსტანტინ ოზგანი ბატონ ნაპოს. იმ დროს, როდესაც ბატონი ნაპო აფხაზურ მხარეს უხსნიდა თუ რამდენად გაფართოებული პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებები მიეცემოდათ მათ და როგორ გაიმიჯნებოდა უფლებამოსილება ცენტრსა და რეგიონს შორის, შეხვედრის მონაწილეებს თავს ესხმის შეიარაღებული რაზმი თამაზ ნადარეიშვილის და გივი ლომინაძის მეთაურობით და აკავებენ დიალოგის მონაწილეებს. ისევ ბატონმა ნაპომ გამოიხსნა აფხაზური დელეგაცია, რომელიც გამომშვიდობების გარეშე ბრუნდება გუდაუთაში. მეორე დღეს სოხუმის მოწმენდილ ცაზე პირველად გამოჩნდნენ ჭურვები . ასე იქნა დაკარგული ომიდან გამოსვლის ყველაზე რეალური შესაძლებლობა.

ომის პირველ დღეებშივე იქმნება „აფხაზეთის ხსნის კომიტეტი“, რომელშიც გაერთიანდნენ ისეთი ცნობილი აფხაზი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ: ლორიკ მარშანია, რაულ ეშბა, ვიოლეტა აგრბა, სვეტლანა ქეცბა, ალიოშა კვიცინია და ბევრი სხვა, რომელთა ჩამოთვლას ჩვენც, როგორც ბატონი ნაპო, შეგნებულად თავს ვარიდებთ. ისინი რეალურად აფასებდნენ შექმნილ ვითარებას და ეძებდნენ კრიზისიდან გამოსვლის გზებს. ხსნის ერთადერთ გზას ისინი ეთნიკური აფხაზი ინტელიგენციის გაერთიანებას და ხალხისთვის მიმართვას მიიჩნევდნენ. ისინი მზად იყვნენ გამიჯვნოდნენ არძინბასა და მის პოლიტიკას, შერიგებოდნენ ქართულ მხარეს. შედგენილი ჰქონდათ კიდევაც ასეთი მიმართვის ტექსტი, რომელსაც ხელს აწერდნენ ეთნიკური აფხაზების ორმოცამდე ცნობილი და გავლენიანი წარმომადგენლები. ამ მიმართვის ტექსტით ერთ-ერთ საღამოს, ბატონ ნაპოსთან მოდის ცნობილი აფხაზი საზოგადო მოღვაწე და სთხოვს მას დახმარებას ბაგრატ შიმკუბას ოჩამჩირიდან გამოყვანაში. ის უნდა ჩასდგომოდა სათავეში ამ მოძრაობას. ამის შესახებ ინფორმაცია უკვე ჰქონია ბატონ ბაგრატს, მაგრამ ბატონი ნაპოს წინადადებით ცნობილი ჩეკისტი და მწერალი ალიოშა კვიცინია და პროფესორი ვიოლეტა აგრბა კიდევ ერთხელ ჩადიან ფეხით, ბლოკირებული ტამიშის გვერდის ავლით, ოჩამჩირის რაიონის სოფ. ჭლოუში, რათა უფრო დეტალურად გაცნობოდა ბატონი ბაგრატი მისი გამოყვანის გეგმას. ყველაფერი მოფიქრებული და მოგვარებული ყოფილა: ოჩამჩირის ფრონტზე დერეფანს ქმნიდა აფხაზი ეროვნების გავლენიანი პიროვნება, შემდეგ კი რეანიმობილით, როგორც ავადმყოფი, იგი ქართულ მხარეს უნდა ჩამოეყვანა სოხუმში. ქალბატონი ვიოლეტას საქმეში ჩართვა მიზანშეწონილად მიუჩნევია ბატონ ნაპოს, რადგან მისი ჩასვლა დაამშვიდებდა ბატონ ბაგრატს და, ამავდროულად, დაარწმუნებდა იმაში თუ რა რიგ მნიშვნელოვანი იყო მისი სოხუმში ჩამოსვლა და ამ მოძრაობისათვის სათავეში ჩადგომა. მეორე დღესვე ბატონი ნაპო გადააწყდა გივი ლომინაძეს, იმ ხანად „სტაბილიზაციის დროებითი კომიტეტის“ თავმჯდომარეს და ისმენს მისგან საყვედურს: „ რა არის, ბატონო ნაპო, რომ ჩვენს ზურგს უკან მოქმედებთ?! რატომ არ გვითანხმებთ ჩვენ თუ რა საქმიანობას ეწევით აფხაზურ მხარესთან?’ ბატონი ნაპო უმალ ხვდება, რომ კონფედენციალურობა დარღვეული და ჩანაფიქრი ჩავარდნილი იყო. მოგვიანებით, სოჭის ხელშეკრულების მხარდაჭერის მიზნით, აფხაზ ლიდერებთან — ფაზილ ისკანდერთან და ბაგრატ შინკუბასთან შესახვედრად შევარდნაძის მიერ მოსკოვში გაგზავნილი ბატონი ნაპო ხვდება იქ მყოფ ალიოშა კვიცინიას და მისგან შეიტყობს, რომ ჭლოუში ჩასვლისთანავე ისინი, ბაგრატ შინკუბასთან ერთად, აუყვანიათ და გადაუყვანიათ ქ. ტყვარჩელში, იქიდან ბატონი ბაგრატი და ქალბატონი ვიოლეტა გადაუყვანიათ რუსეთში, ქ. ნალჩიკში. თავად ალიოშა კვიცინიას რამოდენიმე დღე-ღამე კარცერში გაუტარებია, შემდეგ შეუწყალებიათ. ჩანაფიქრი ჭლოუში ჩასვლის წინ, მას გაუმხელია, თურმე, გივი ლომინაძისთვის, რასაც ის მწარედ განიცდიდა. ასე დაიკარგა მაშინ აფხაზი ხალხის შემობრუნებისა და კრიზისიდან ნაკლები დანაკარგებით გამოსვლის კიდევ ერთი პერსპექტივა.



ნაპო მესხია

ამდენად, ვინ იცის, რამდენჯერ შეეცადა ბატონმა ნაპომ გადაერჩინა აფხაზეთი, რამდენჯერ გამონახა აფხაზური მხარესთან კონფლიქტის დარეგულირებისა და ომიდან ღირსეულად გამოსვლის საშუალება და გზები. როგორც ხედავთ, ისინი იმდენია, რომ ყველას მოტანა შეუძლებელია, მაგრამ ერთი მათგანი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ არ შეიძლება არ შევჩერდეთ უფრო დეტალურად.

ომის დამთავრებიდან ორიოდე წლის შემდეგ ბატონი ნაპო ახერხებს ბატონ შევარდნაძესთან შეხვედრას და არწმუნებს მას, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისთვის უფლებამოსილების შეჩერება და კონფლიქტის დარეგულირების საკითხების ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანა, მისი ინტერნაციონალიზაცია არ იყო გონივრული გადაწყვეტილება, რომ ეს იყო შეცდომა. ერთსაათიანი ბჭობის შემდეგ, მან დაარწმუნა ქვეყნის მეთაური დეპუტატებისთვის უფლებამოსილების აღდგენის მიზანშეწონილებაში. ასე აღსდგა დღეს თბილისში არსებული აფხაზეთის უმაღლესი საბჭო და მისი მთავრობა. ლეგიტიმური ხელისუფლების აღდგენა ბატონმა ნაპომ გონივრულად გამოიყენა — უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის რანგში ჩაერთო ჟენევა-მოსკოვის ფორმატით ცნობილ ქართულ-აფხაზურ დიალოგში. ის ჩადიოდა ქ.მოსკოვში ერთი კვირით ადრე და ხვდებოდა იქ მყოფ აფხაზ ლიდერებს. ასეთი კულუარული შეხვედრებისა და აფხაზურ მხარესთან უშუალო მუშაობის შედეგად, მან მიაღწია, ოფიციალურ სოხუმთან შეთანხმებით, ისეთი დოკუმენტის შედგენას, რომელიც ითვალისწინებდა დევნილი მოსახლეობის მასიურ და უსაფრთხო დაბრუნებას. რაც მთავარია, ეს დოკუმენტი, რომელსაც ექსპერტების დონეზე აწერდნენ ხელს ბატონი ნაპო და არძინბას პირადი წარმომადგენელი ანრი ჯერგენია, აფხაზეთს განიხილავდა საქართველოს შემადგენლობაში. იმავდროულად, მხარეების მოთხოვნით, უარი ეთქვა მოლაპარაკებების ჟენევისა და მოსკოვის ფორმატებს — დიალოგი გადმოდიოდა საქართველოში, გალში და სოხუმში. ამით ქართულ-აფხაზური კონფლიქტი შიდაპოლიტიკური კონფლიქტის არსს უბრუნდებოდა, იგი კარგავდა საერთაშორისო დატვირთვას და მნიშვნელობას, რის შედეგად ქვეყნის არალეგიტიმურმა, სახელმწიფო გადატრიალების შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ აფხაზურ მხარეს ლამის საერთაშორისო სამართლის სუბიექტის სტატუსი მიანიჭა და ასეთ რანგში მიუჯდა მასთან მოლაპარაკების მაგიდას ხან ჟენევაში, ხან მოსკოვში და ხან სად. ეს ღალატის ტოლფასი შეცდომა იყო. აი ასე, ხელისუფლების უგუნური და მიუტევებელი შეცდომა გამოასწორა ბატონმა ნაპომ და კონფლიქტთან დაკავშირებული ყველა საკითხი დაუბრუნა საწყის მდგომარეობას. ამით ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის იწყებოდა პირდაპირი დიალოგის პროცესი. ეს მათ ურთიერთობაში პოზიტიური გარღვევა იყო. მათ ურთიერთობაში ახალი ეტაპი იწყებოდა.

საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტთან არსებული კონფლიქტის დარეგულირების სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური კვლევების ცენტრის წარმომადგენლები — უშიშროების ექს-მინისტრი და უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი ჯემალ გახოკიძე, ცნობილი კონსტიტუციონალისტი ავთანდილ დემეტრაშვილი და მათი თანაავტორები, სოფო მიდელაშვილი, ქეთევან ჯინჭარაძე და გიორგი გორაძე თავიანთ წიგნში „ძიებანი საქართველოს განდგომილი რეგიონების შემორიგებისათვის“ (თბილისი, 2017) ქ. მოსკოვში 1995 წლის 30 მარტის ქართულ-აფხაზური დიალოგს და მის შედეგებს მიიჩნევენ ყველაზე წინ გადადგმულ ნაბიჯად. მათი აზრით, მას შემდეგ, კონფლლიქტის მოგვარებას ასეთი წინსვლა არ ჰქონია, მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის გაეროსა და ეუთოს 100-ზე მეტი გადაწყვეტილებისა. მოსკოვის 1995 წლის 30 მარტის შეთანხმებაში პირველად ერთ პოზიციაზე დადგნენ აფხაზეთის კონფლიქტის მხარეები; შეთანხმდნენ, რომ დაპირისპირება დამღუპველია მხარეებისთვის და გამოთქვეს მზადყოფნა ბოლო მოუღონ უაზრო სისხლისღვრას; შეთანხმდნენ, რომ კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დარეგულირებისათვის აუცილებელია დევნილი მოსახლეობის ღირსეული დაბრუნება, მათი უსაფრთხოების და უფლებების აღდგენისა და ადამიანის უფლებების სრული დაცვით. მათი აზრით, შეთანხმების პროექტი, რომლის ავტორები იყვნენ აფხაზთა მხრიდან — ანრი ჯერგენია და ქართველთა მხრიდან ნაპო მესხია, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დელეგაციის წევრი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ხაზგასმით განიხილავდა საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხს, მაგრამ მას განხორციელება არ ეწერა: მხარეების მიერ ხელმოწერილი ასეთი ოფიციალურ სოხუმთან შეთანხმებული პროექტით ხელდამშვენებულ, მოსკოვის ქართულ-აფხაზური დიალოგის ოფიციალურ მონაწილეს, ბატონ ნაპო მესხიას არ ღებულობს ქვეყნის მეთაური, ბატონი შევარდნაძე. ხოლო მოსკოვური შეხვედრიდან ერთი კვირის თავზე, 1995 წლის 8 აპრილს, ქ. გალში დაგეგმილ მხარეები შეხვედრამდე ორი დღით ადრე, მის შემოგარენში, სოფ. მახუნჯიაში ეწყობა ტერაქტი, რომლის შედეგად იღუპება აფხაზური პოლიციის შვიდი მაღალჩინოსანი და აფხაზეთში ცხადდება გლოვის დღეები. ასე იქნა ჩაშლილი ხელისუფლების, კერძოდ ბატონი შევარდნაძისა და რევანშისტული ძალების მიერ კონფლიქტის მოგვარების კიდევ ერთი, ალბათ, ყველაზე რეალური შანსი. მოგვიანებით ბატონ ნაპოსთვის ცნობილი ხდება, რომ საქრთველოს ელჩის რუსეთში, ბატონ ლორთქიფანიძეს გადაეგზავნა ეს პროექტი როგორც შევარდნაძისთვის, ასევე ნადარეიშვილისთვისაც. ამ უკანასკნელმა მოგვიანებით ბატონ ნაპოს პირფერი ღიმილით ეუბნება, თურმე: „თქვენი პროექტი იმ დღესვე იყო ჩემთვის ცნობილი და ჩემს მაგიდაზე იდოო.“ მაშინ ბატონ ნაპოსთვის ნათელი გახდა თუ რა დონის ღალატს ჰქონდა ადგილი და იმ დღესვე გადადგა თანამდებობიდან.

აი, ასეთ კაცს „პოლიტიკისგან ძალიან შორს მდგაგრს“ უწოდებენ ეროვნულ ლოზუნგს ამოფარებული მედროვენი — ქალბატონი ქარაია და ბატონი მჟავია. ასეთია ამ „პოლიტიკოსების“ პრობლემებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა და პოლიტიკური მოვლენების „მიუკერძოებელი“ შეფასებები. აბა სხვა რა უნდა მოსვლოდა დეპუტატად მათ ამომრჩევ ხალხს?! ჰოი, ამაოებავ, საკვირველებავ, აუცილებლად უნდა იშადიმანო, რომ პოლიტიკოსი დაგერქვას?! ან რა დიდი უპირატესობა და ღირსებაა პოლიტიკოსობა? არ ჯობია ულალატო, კაცური კაცის სახელით დაიარებოდე ამ ქვეყნად?

ბატონ ნაპოს შემდგომშიც არ მიუტოვებია უყურადღებოდ აფხაზეთთან დაკავშირებული პრობლემები. გასული საუკუნის ბოლოს გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების პატრონაჟით მიმდინარეობდა სამთავრობო დონეზე ქართული და აფხაზური დელეგაციების შეხვედრები. ათენისა და სტამბოლის შეხვედრების მონაწილე თავად იყო. ამ შეხვედრების მთავარი მიზანი მხარეების ურთიერთ დაახლოება და ნდობის აღდგენა იყო. ამასთან ერთად იხილებოდა სხვა საკითხებიც, მათ შორის კონფლიქტის ზონაში ერთობლივი სწრაფი რეაგირების ჯგუფების შექმნისა და მუშაობის საკითხი. მაგრამ გაეროს მიერ შემოთავაზებული ეს დოკუმენტი მხარეებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა: აფხაზური მხარე მოითხოვდა კონფლიქტის ზონაში სამართალდარღვევის ფაქტების ცალკე, დამოუკიდებლად მოკლევისა და სამართლებრივ დასჯის უფლებას. ამ დოკუმენტში იყო მხარეებისათვის შვიდამდე საკამათო პუნქტი, რომლებიც დაზუსტებასა და კორექტირებას მოითხოვდნენ. ამიტომ დოკუმენტი არც ათენში და არც სტამბოლში არ იქნა ხელმოწერილი. რამოდენიმე თვის შემდეგ, კერძოდ 1999 წლის 2 დეკემბერს ბატონი ნაპო, ქვეყნის პრეზიდენტის მრჩევლის რანგში, გადადის ქ. სოხუმში ამ დოკუმენტის საკუთარი რედაქციით. მას ვლადისლავ არძინბას პირად მრჩეველთან ანრი ჯერგენიასთან დასჭირდა სულ ერთ საათამდე დრო, რათა მიეღწია კონსენსუსისთვის. ვ. არძინბასთან შეთანხმებულ ამ დოკუმენტს ერთი კვირის თავზე მხარეებმა ხელი მოაწერეს თბილისში. ასე შეიქმნა ერთობლივი სწრაფი რეაგირების რაზმები, რომლებმაც დაიწყეს მუშაობა კონფლიქტის ზონაში, სადაც მანამდე განუკითხაობა მძინვარებდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №439 (498)

# «თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შინა ვერ შთაისხმებოდა»



იგორ კვესელავა

პოსტსაბჭოურ საქართველოში დღის წესრიგში დადგა საქართველოს ფედერალიზაციის იდეის, ანუ ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის განხორციელება, მხარეთა თვითმმართველობის კავშირისა და ერთიანობის პრინციპებზე, რაც ქვეყნის რეალური პოლიტიკით იყო ნაკარნახევი. თუმცა ამას ე.წ. ახალი „უნიტარისტების“ მხრიდან წინააღმდეგობა მოჰყვა, რომლებიც ივიწყებდნენ, რომ საქართველო, მცირე გამონაკლისის გარდა, ყოველთვის კონფედერაციული მოდელის ქვეყანა იყო, სადაც ხან ებრძოდნენ და ეთიშებოდნენ ერთმანეთს, ხან კი — უერთდებოდნენ. უფრო მეტიც, XIX-XX საუკუნეებში საქართველო არსებობდა სამთავროების, მხარეების, გუბერნიების, ოლქების სახით, თუმცა სხვა სახელმწიფოთა მფლობელობაში თუ მფარველობაში იმყოფებოდა, ხოლო საბჭოეთის დაშლის შედეგად პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებას, ერთი მხრივ, „ურაპატრიოტ“ ქართველთა „უნიტარისტული ყოყოჩობა' და, მეორე მხრივ, სეპარატისტთა თავნებობა მოჰყვა, რომელმაც სისხლისმღვრელი ომები გამოიწვია ქართლსა და აფხაზეთში, და საკუთარ სამშობლოში, ასიათასობით ქართველი დევნილად იქცა და ქვეყანა პოლიტიკურ და ეკონომიკურ უფსკრულს მიუახლოვდა. საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სპექტრში და სამეცნიერო წრეებში, ამ საერთო კრიზისის თავიდან აცილების ერთ-ერთ ოპტიმალურ გზად, საქართველოს ფედერაციის პრინციპზე მოწყობას მიიჩნევდნენ, მითუმეტეს, თუ მას ჩამოშორდებოდა საბჭოური ავტონომისტურ-უნიტარისტული დოგმები და ახლებურად და რეალურად იქნებოდა გააზრებული ფედერალიზმის არსი და რაობა.

იმ პერიოდში, საქართველოში არსებული ე.წ. ასიმეტრიული, ანუ ავტონომიურრესპუბლიკური ფედერალიზმი, ვერ აკმაყოფილებდა საზოგადოებრივ პოლიტიკურ რეალობას, რაც იმაშიც მდგომარეობდა, რომ ქვეყანაში ფუნქციონირებდა არა რამდენიმე მცირე თუ დიდი ერი, არამედ ერთი, ქართველი ერი და რამდენიმე ეროვნული უმცირესობა, ამიტომ სახელმწიფოს მოწყობის აგების პრინციპი ვერ იქნებოდა ეროვნულ-ეთნიკური, ვერც ეროვნულ-ტერიტორიული და მხოლოდ სამხარეო ადმინისტრაციულ მოდელს მივყავდით ქვეყნის ფედერაციულ მოწყობამდე, რომელსაც შეეძლო თავიდან აეცილებინა რუსეთ-საქართველოს ომები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისათვის, შესაბამისაც მივიღებდით ერთიან ტერიტორიას, ერთი სახელმწიფო ენით, ერთიანი საგარეო პოლიტიკით, ერთიანი ბიუჯეტით, ერთიანი ფულით, ერთიანი არმიით, ერთიანი ძალოვანი სამსახურით, თუმცა იარსებებდა აფხაზეთის ფართო უფლებების მქონე სახელმწიფო საქართველოს შემადგენლობაში და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ-კულტურული ავტონომია. ეს კი უზრუნველყოფდა საქართველოს ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობას და განსაზღვრავდა ფედერალური მართვის თავისებურებებსა და სხვა ურთიერთობებს.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორია გვაუწყებს, რომ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ქვეყანაში არ წარმოშობილა სხვა ერების წინააღმდეგ მიმართული ანტიგანწყობილებები თუ ეთნოკონფლიქტები, თუ არ მივიღებთ მხედველობაში, 1918-1921 წლებში, საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს დამხობისა და მისი ტერიტორიების მიტაცების მიზნით, თურქების, რუსი და ქართველი ბოლშევიკების, სომეხი დაშნაკების, აზერბაიჯანელი მუსავატელების, აფხაზი და ოსი სეპარატისტების და სხვების მიერ წარმართულ ანტიქართულ საქმიანობას.

1921 წლის თებერვლიდან, საბჭოთა რუსეთის სოციალისტური იმპერიის არსებობის პერიოდში (1922-1990 წწ.) საქართველოში დამყარდა არა მარტო სოციალური, არამედ ეთნოსთშორისი მშვიდობაც, რომელსაც მოჰყვა საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება, თუმცა ეროვნულ უმცირესობებს და, განსაკუთრებით, აფხაზებს და ოსებს კრემლი განსაკუთრებულ პრივილეგიებს ანიჭებდა. ამიტომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურებას ეროვნულ-სეპარატისტული მოძრაობის გაფართოება მოჰყვა აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთშიც.

გასული საუკუნის მიწურულს ქართველ მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა (მ. გაფრინდაშვილი...) წამოაყენა საქართველოს ფედერაციული მოწყობის კონცეფცია, რომელშიც გამოიკვეთა ქვეყნის 12 მხარე (ქართული ანბანის რიგის მიხედვით): აფხაზეთ-სვანეთი, აჭარა-გურია, თბილისი, თუშ-ფშავ-ხევსურეთ-ხევი, იმერეთი, კახეთ-ჰერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო-სამურზაყანო, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, ქუთაისი-წყალტუბო და შიდა ქართლი. ამ მხარეებს უნდა შეექმნათ საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკა, რომელშიც გაერთიანდებოდა 80-მდე თვითმმართველი რაიონი და ქალაქი.

ფედერაციულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულ საქართველოს უნდა უზრუნველეყო ქვეყნის მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა და თვითმმართველობის ყოველმხრივი განვითარება, ნაციონალური უმცირესობების უფლებების დაცვა, თუმცა ასეთ შემთხვევაში მოვლენათა განვითარებას უნდა მივეყვანეთ რუსეთისა და საქართველოს სტრატეგიულ მოკავშირეობამდე. არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით, რაც ნიშნავდა საქართველოს ხელისუფლების მიერ რუსეთის ინტერესების ნებაყოფლობით ცნობას და, შესაბამისად, რუსეთის მზაობას — დაეცვა საქართველოს ინტერესები.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში, საქართველოში გააქტიურებულ ფედერალური მოწყობის იდეას, რუსეთმაც დაუჭირა მხარი. საბჭოეთის ფილოსოფიური სკოლის ლიბერალური მიმართულების წარმომადგენელი მ. მამარდაშვილი ფიქრობდა, რომ ქართველ ხალხს გარკვეული პერიოდი „რუს ხალხთან ერთად უნდა ეარა“, ახლა ძნელია პირდაპირ თქვა, რამდენ ხანს უნდა გაგრძელებულიყო რუსეთ-საქართველოს „ურღვევი“ ფედერალური კავშირი, მაგრამ ერთი შეიძლება ცალსახად ითქვას: საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში აფხაზები და ოსები გამოხატავდნენ მზაობას, გაერთიანებულიყვნენ საქართველოს ფედერაციულ სახელმწიფოში, თუ მათ მიეცემოდათ მაღალი დონის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის სტატუსი და ამით მიღწეული იქნებოდა საუკუნეების მანძილზე ქართველების, აფხაზებისა და ე.წ. სამხრეთელი ოსების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგიც — თავისუფლება და დამოუკიდებლობა — საქართველოს შემადგენლობაში.

ქართველი პოლიტიკოსების ერთ ნაწილს ფედერალიზმი მიაჩნდა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემების მოგვარების ერთ-ერთ გზად. მათ შორის იყო ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი სანდრო ბრეგაძე. მისი აზრით, ქვეყნის სხვა მხარეებში (სამეგრელო, აჭარა და ა.შ.) სეპარატიზმის საფრთხის შესახებ ლაპარაკი ე. შევარდნაძის ხელისუფლების მიერ შეთხზული მითი იყო. მითუმეტეს, საქართველოში არანაირი ეკონომიკური ბალანსი არ არსებობდა და ფედერალიზმი ვერ დაარღვევდა იმას, რაც არ არსებობდა. ხოლო ბარის ეკონომიკური განვითარება, მთის განვითარებას გამოიწვევდა, თუმცა ასე არ ფიქრობდა ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი, რომლის აზრით, საქართველოს ფედერაციული მოწყობა არ იყო გამართლებული და რეგიონალიზმი ეროვნული გაერთიანებისა და ჰარმონიული დაბალანსების შემაფერხებელი ფაქტორი იყო. ეროვნული მოძრაობის ცნობილი წევრი ვალტერ შურღაია ხსნას მონარქიულ მოდელში ხედავდა. პოლიტიკური პარტიების სხვა „მესიტყვეები“ უნიტარიზმსაც უჭერდნენ მხარს და ფედერალიზმსაც.

კონსტიტუციური მონარქიის მომხრე იყო ორგანიზაცია „სამეფო გვირგვინის“ ხელმძღვანელი ია ბაგრატიონ-მუხრანელი. ამ მოსაზრებას იზიარებდა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრი, მკვლევარი და პუბლიცისტი გია (გაიოზ) მამალაძე.

თვითონ ე. შევარდნაძე, რეალური პოლიტიკიდან გამომდინარე, ფედერაციულ მოწყობას უჭერდა მხარს. 1994 წლიდან ხელისუფლების ინიციატივით დისკუსიებიც იმართებოდა მეცნიერებსა და პოლიტიკოსებს შორის, თუმცა მეცნიერთა ერთი ჯგუფი დაბეჯითებით ირწმუნებოდა, რომ საქართველო არ შეიძლება გამხდარიყო ფედერაციული სახელმწიფო.

საქართველოს ისტორიაში ცნობილია ერის წარმატებული და წარუმატებელი პერიოდები და მასში ობიექტურად უნდა წარმოჩინდეს ადამიანები, რომლებიც სწორ არჩევანს აკეთებდნენ ქვეყნის საშინაო და საგარეო ინტერესების დასაცავად.

## ფედერალიზმი

ლათინური ენიდან მომდინარე ტერმინი „ფედერალიზმი“, ფრანგული ენის საშუალებით დამკვიდრდა პოლიტიკურ და სამეცნიერო ლიტერატურაში. ზოგადად გულისხმობს შეთანხმებას, მოლაპარაკებას და ნდობას, ხოლო ამ ტერმინის ინგლისურ ენაში გამოყენების პირველი დოკუმენტური მტკიცებულება XVII საუკუნით თარიღდება, როდესაც პურიტანებმა დაიწყეს ლაპარაკი „ფედერალურ თეოლოგიაზე“, როგორც შეთანხმების არსებობაზე ღმერთსა და ამერიკელ გადასახლებულებს შორის. XVII-XVIII საუკუნეში ტერმინმა დამატებითი შინაარსი შეიძინა და შტატებს შორის შეთანხმების აღმნიშვნელი გახდა. უკვე 1721 წელს ტერმინი გამოიყენება, როგორც „გაერთიანებული ლიგა, კავშირი“.

ფედერალიზმი რთულ და მრავალგაზომილებიან მოვლენას წარმოადგენს და მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს — პოლიტიკურ, სამართლებრივ, ეკონომიკურ, ფინანსურ, კულტურულ, საერთაშორისო და სხვა მრავალ სფეროს.

არსებობს ფედერაციული სახელმწიფოს თეორია, რომელშიც გამოკვეთილია ფედერალური გაერთიანების არსი, მიზანი და ამოცანები. დღემდე ჭირს ფედერაციული სახელმწიფოს უნივერსალური ცნების დადგენა, თუმცა, თეორია იცნობს ფედერაციული ქვეყნისათვის დამახასიათებელ სხვადასხვა ორგანიზაციულ-სტრუქტურულ ნიშნებს: ტერიტორიული ერთეულები, დამოუკიდებელი გაერთიანებები; დემოკრატიული პლურალიზმი; კოოპერაციული და კოორდინაციის პრინციპები; ერთიანი პოლიტიკური წესრიგი; განსაზღვრული პოლიტიკური ავტონომია; საერთოსახელმწიფო უფლებამოსილებები; საპარლამენტო ორდონიანი სისტემა — პალატები; კონფლიქტების მოგვარების სამართლებრივი გზა — სასამართლო სისტემა; ფედერაციული მოდელის მყარობის კონსტიტუციური გარანტიები და სხვ.

იმის გათვალისწინებით, რომ ფედერაციული სახელმწიფოს შესახებ სხვადასხვა (მონისტური, დუალისტური, სამწვერიანი) თეორიებია ცნობილი, შესაბამისად, ისტორიულ-პოლიტიკური, სტრუქტურულ-ანალიტიკური, ფილოსოფიურ-დოგმატური და სხვა მეთოდებით ფედერალიზმის სხვადასხვა ასპექტებს სწავლობენ პოლიტოლოგები, სამართალმცოდნეები, ისტორიკოსები, სოციოლოგები, ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, ეთნოლოგები და სხვა სფეროს წარმომადგენლები, რომლებიც ხაზს უსვამენ ფედერალიზმის ვიწრო და ფართო გაგებას, როდესაც პირველ შემთხვევაში წინ იწევა თვითმმართველობისა და მმართველობის კონსტიტუციური ასპექტები ტრადიციულ ფედერაციულ სახელმწიფოებში, სხვა მხრივ კი იგი მოიცავს დეცენტრალიზებულ ქვეყნებს, სადაც გამოყენებულია თვითმმართველობისა და ხელისუფლებაში წილობრივი მონაწილეობის პრინციპები.

ზოგადად, ფედერალიზმის რამდენიმე სახე გამოიყოფა: ფედერაცია — სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის ფორმა; კონფედერაცია, რომლის კარგი მაგალითია ევროკავშირი და ასოცირებული სახელმწიფოებრიობა.

პოლიტიკოსთა და მეცნიერთა ერთი ჯგუფი მიიჩნევს, რომ ევროკავშირი სუვერენულ სახელმწიფოთა გაერთიანებით შექმნილი წარმონაქმნია. სხვა მოსაზრებით, ის არ არის ერთიანი ფედერაციული სახელმწიფო. მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ეს კავშირი არის სახელმწიფოთა გაერთიანების სრულიად ახალი ფორმა, რომელიც შეიცავს, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის, ასევე, კონფედერაციისა და ფედერაციის ნიშნებს.

ცხადია, ევროკავშირის საერთაშორისო ორგანიზაციად, სახელმწიფოთა კავშირად, ეკონომიკურ გაერთიანებად თუ მხოლოდ პოლიტიკურ ორგანოდ მოხსენიება მდგომარეობას ვერ ცვლის, ის თანდათანობით კარგავს ინტეგრაციულ ბრწყინვალებას, მითუმეტეს ევროკავშირი ვერასოდეს განვითარდება ფედერაციულ სახელმწიფოდ, ის სახელმწიფოთა პოლიტიკურ-ეკონომიკური მიმართულების კავშირია და ახლო მომავალში შესაძლოა დაიშალოს კიდეც. ამიტომ უინსტონ ჩერჩილის ტერმინი „ევროპის შეერთებული შტატები“, ან შარლ დე გოლის „ევროპის სახელმწიფოთა“ იდეა შეიძლება ვერ აღმოჩნდეს მუდმივი სხეული, ისევე როგორც ზბიგნევ ბჟე-ზინსკის წინასწარმეტყველება 2020 წლისათვის ევროპის „სახელმწიფოდ“ მოხსენიების შესახებ.

ფედერალიზმი შეიძლება დახასიათდეს, როგორც ერთიანი საკავშირო სახელმწიფო, რომლის სუბიექტებს აქვთ თანაბარი სამართლებრივი სტატუსი, შეზღუდული სუვერენიტეტი და კომპეტენცია და, რომლებიც თანამშრომლობის, კომპრომისებისა და შეთანხმებების საფუძველზე წყვეტენ ერთიანი სახელმწიფოს ძირითად საკითხებს და ამასთანავე, ცენტრალურ ხელისუფლებას საერთო საკითხების გადასაწყვეტად ანიჭებენ განსაკუთრებულ კომპეტენციას.

სამეცნიერო და პოლიტიკურ ლიტერატურაში მიღებულია დასკვნა იმის შესახებ, რომ ფედერალიზმი უზრუნველყოფს ცენტრსა და სუბიექტებს შორის კონფლიქტის მოგვარებას. სამართლებრივი გზით და კომპრომისებით წინააღმდეგობების დაძლევას, პოლიტიკური და ეთნიკური კონფლიქტების მოგვარებას, ერთ-ერთი განსაკუთრებული საფრთხის ეთნიკური ნაციონალიზმის დაძლევას, უფრო სრული დემოკრატიის მიღწევას.

ბევრი იზიარებს ამსტერდამის უნივერსიტეტის ეკონომიკური და პოლიტიკური კვლევების ცენტრის დირექტორის ანდრე მომენის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ფედერალიზმი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების წინაპირობა, ისე დეზინტეგრაციული პროცესების შედეგი დეცენტრალიზებულ სახელმწიფოში, რომელიც კარგავს კონტროლს თავისი ტერიტორიის ნაწილზე.

ძირითადად, სწორედ ორი ფაქტორი — სახელმწიფოს წარმოშობა ან დაშლის საფრთხე სახელმწიფოთა ფედერალიზაციის საქმეში თამაშობს გადამწყვეტ როლს. ამ კონტექსტში საინტერესოა მოსაზრება, რომ ძნელია მოიძებნოს ფედერირებული უნიტარული სახელმწიფო, რომლისთვისაც ფედერალიზაცია არ იყო იძულებითი ნაბიჯი სახელმწიფოებრივი ერთიანობის შესანარჩუნებლად. ამის მაგალითად მოჰყავთ ბელგიის ფედერალიზაცია, როდესაც მოხდა ამ ქვეყნის უნიტარული მოწყობიდან ფედერაციულზე გადასვლა სახელმწიფოს დაშლის ასაცილებლად. ამასთან, თუ ფედერალიზმს განვიხილავთ კონფლიქტების დაძლევის ერთ-ერთ მძლავრ საშუალებას, უნიტარული სახელმწიფოს ფედერალიზაცია მისასალმებელი და საჭირო აუცილებლობაა.

გური ოტობაია

# სიცოცხლემისჯილი

რომანი

## რინა მეორე

## ოდაბადე, როგორც ასეთი

### თამადა

ოცდაათი წელიწადი იწურებოდა მას აქეთ, რაც ჯურუმია თუბალიას სათამადო ჭიქისთვის არ ეკოცნა, თუმცა ოდაბადეში ახლაც იშვიათად იპოვიდით ოჯახს, სადაც მისი ნაამბორალი სასმისი არ წკარუნებდა, რომელთაგან ზოგი ჟამთა სრბოლას გაეცვითა, ზოგიც დიასახლისს ფიქრიანი ხელებიდან გასლიპინებოდა. მხოლოდ სადღეგრძელოები, ხსოვნაში მკვიდრად ჩახისტული სადღეგრძელოები ალმურდებოდნენ დღესაც ქვევრში დაძველებულ ღვინოსავით და არაფერი იყო გასაკვირი, თუ აქა-იქ ბერბიჭა ტატაჩი წყაროზიას, მეცხრე ცოლგამონაცვალი ბირჯია ხუბუას თუ კემეს რეზინის ჩექმების ნალით მჭედელი ნოკო ანთარიას დათაფლული ხმები მათ მაგიურ ძალას ვერაფრით დახსნოდნენ, სწორედ იმგვარად, როგორც დუყლა ანთარიას წისქვილის დოლაბებში ჩავარდნილი სიმინდის მარცვალი გაუთანგავს ორმაგ დაწოლას, ავბედითი ტრიალისაგან ამაოდ ცდილობს თავდახსნას და საკმარისია წონასწორობის ოდნავი დაკარგვაც კი, რომ მაშინვე გაისრისოს. ამიტომაც ყოველი ლხინის შემდეგ შინმიბრუნებულ ოდაბადელებში ხშირად გაიგონებდით მსგავს საუბარს:

— კი, მაგრად დალია ბირჯია ხუბუამ, მაგრამ ჯურუმია მაინც სხვა იყო. ასეთ ყოყლოჩინობას იკადრებდა განა? ვითომ რა მოხდა?! ის ორლიტრიანი ყანწი არ კმაროდა, ეზოში სუფრა რომ არ გამოეტანინებინა და საცერი არ მოეთხოვა?! ქვეყანაზე მასზე ძლიერი თამადა თუ დაიარება, არა ჰგონია. ალბათ, მეათე გომბიოს აწონებდა თავს. პეშვი შეუშვირა საცერში მორაკრაკე დოქს და ტუცა და ტუცა ოჯალეში. სულ სხვა იყო ჯურუმია! — ისინანულებდნენ. მერე თვალსაწიერზე გარდასული დღეები აიკლაკნებოდნენ. იმ ფერიდან კვლავინდებურად წამოიმართებოდა ნაკადულში ფეხმოკიდებულ მთვარეზე მოქნილი ჯურუმიას ხმა. მოკვდებოდა, მაგრამ სუფრაზე განსხვავებულ სასმისს არაფრით გააჭაჭანებდა. ეს მერე, უნიჭო მიმბაძველებმა, სათადარიგოებსაც რომ ეძახდნენ, აურ-დაურიეს ყოველივე.

— ტყუილად ფაფხურობს ტატაჩი წყაროზია, არაფერი სცხია ჯურუმიასიო, — ამტკიცებდნენ სხვები. — ჯერ ერთი, ექვსასკაციან ქორწილში ითამადებდა ჯურუ?! მერე შეხედეთ, რა დემოკრატიული ვარ, ზოგიერთივით დესპოტი არ გეგონოთო, ამოიჩემა. ახლებს ტაშფანდურა გაამართვინა, მაგრამ, როცა მოგვიანებით ვერაფრისდიდებით დააწყნარა, იყვირა და იბღვირა, შეზარხოშებული ჯეელობა სეფიდან გააძევა. ქნა ვითომ კარგი საქმე?! ეგერ, დუყლა ანთარიას წისქვილთან ქვეშ ამოუდვიათ და კინაღამ ძვალ-რბილი გაუერთიანებათო! — ლაზღანდარაობდნენ და მართლებიც გახლდნენ. სულ სხვა იყო ჯურუმია. მის ბარაქიან ძარღვებში ნაბობოქრები ღვინო ერთად რომ მიგეშვათ დუყლა ანთარიას წისქვილის ღარში, თქმა არ უნდა ამას, სამ დღე-ღამეს მაინც დაატრიალებდა დოლაბს, მაგრამ ორას კაცს გადაცილებულ პურობას ვერაფრით გააკარებდით. შემთხვევით როდი ეძახდნენ ფეხბედნიერს. განგება იყო თუ რა? მისი დამოძღვრილი წყვილი ლადი ჭანიას ჩონგურივითააწყობდა ცხოვრებას და როგორც წესი, წლისთავზე აკვანს დაურწევდა სოფელს. ასობით ქორწილს გაძღოლოდა ჯურუმია და ერთხელ ნათქვამ სიტყვას არასდროს დასესხებოდა.

პატარძალი თუ მეზობელი სოფლიდან იყო, ცხენზე ამხედრდებოდა. ჭოფია ანთარიას ბორნით გადავიდოდა ოდიშელებში, იშვიათად — სამურზაყანოელებთანაც. სადედოფლოს ჭიშკარს ღიღინ-ღიღინით ჩაუვლიდა, მოფუსფუსე ადამიანებს ქორული მზერით გაზომავდა. კერამიკის გვიმიანი ჭიდან კიბეებამდე გაბმულ ბილიკს მაჯას მოუსინჯავდა. აქეთობისას წყალს სთხოვდა მასპინძელს. არ გაკადნიერდებოდა, როცა შეიპატიჟებდნენ. სიმინდის შეტაროებულ ყანას თუ დასაკრეფ ვენახს მიმოათვალიერებდა. არაყს და თხილს რომ გამოუტანდნენ, ოჯახს კი დალოცავდა, მაგრამ ახლახან კუჭის ოპერაცია გადავიტანეო, იცრუებდა და ჭიქას ტუჩმიუკარებლად დადგამდა. როდესაც ღვინოს გამოურბენინებდნენ, დაშაქრულს ერთ ჭიქას იმყოფინებდა, თავანკარას კი სამს, ზოგჯერ ხუთსაც გეახლებოდათ სიტყვაძუნწობით. ათიოდე წუთში მასპინძლის ოჯახურ კანონებს მთელი არსებით ჩასწვდებოდა ჯურუმია. მისი წარმოსახვა იმთავითვე დაალაგებდა ცისფერს, ოღროჩოღროს და თალხს. თამადობისას კი თავდავიწყებით შეცურდებოდა სიძე-პატარძლის ალისფერში და ასე, საწუთროს პირისპირ დარჩენილებს, ავგაროზივით მფარველობდა მერე ის საღამო.

— ქორწილი ჯიმადის წისქვილი ჰგონია ნოკო ანთარიას, — ასკვნიდნენ ერთნი. — სადღეგრძელოს სადღეგრძელოზე საფქვავივით მიაყოლებს: სამი, ექვსი, ცხრა და საათ-ნახევარში ყველა შემოეფანტება! აბა, გინდა ნოკო ანთარიასთვის გიგდია ყური და გინდა დუყლას წისქვილის ხიხინიასათვის! მეცხრე ჭიქის შემდეგ, და-და-დაო, რომ გაწელავს და შემოითენებს, კი შერცხვება სტუმრებში, — ასეთ რამეებს ყოველ შაბათ-კვირა გაიგონებდით ოდაბადეში. ქორწილს ოდინდელი ლაზათი წაერთვა. წვეულებაში დახლივით შემოეხეტა სტუმრის ჯიბე. დროული ოდაბადელი წუხდა, თანაც იმედიანობდა, რომ დღეს იქნებოდა თუ ხვალ-ზეგ, ფეხბედნიერი თამადა ლხინს უეჭველად მოუბრუნდებოდა, მაგრამ გაგონილა! გვიტ ანთარიას ჯვრისწერის მერე, როგორც კი უგზო-უკვლოდ დაკარგული მამის სული დაიფიცა, მორჩა იქ საქმე. ჯურუმიას, შესაძლოა, ანთარიების ქორწილში თამადობისთვის თავი აერიდებინა, მაგრამ იცოდა, განდგომას ცუდად ჩამოართმევდნენ, შურიანობას დასწამებდნენ. წისას და გვიტის მეგობრობაზე ისედაც გადაუკრავდნენ სიტყვას, თან მრავლისმეტყველად გადახედავდნენ ერთმანეთს. ბიჭი ებრალებოდა. სწამდა, რომ ნაძალადევი ქორწილი მიხვეულ-მოხვეული ცხოვრებით დასრულდებოდა ადრე თუ გვიან.

დღესაც კი, თორემ მაშინ, იმ ორმოციოდე წლის წინათ, როგორც საქართველოს უმეტეს კუთხეში, ისე მთელს სამეგრელოსა და განსაკუთრებით ოდაბადეში, ვაჟისათვის ასაკით უფროსი ქალის ცოლად მოყვანა სირცხვილად მიაჩნდათ, მის კაცურ ღირსებას საეჭვოს ხდიდა. გვიტი კი წისას იმდენით ეუმცროსებოდა, რომ კუტუ შოლირი მაფუს ღნავილით ოჯახის ამკლებისათვის, ვინ იცის, რამდენჯერ ურწევია აკვანი და გამოუცვლია გასვრილი ჭინჭები. ერთი წლით უფროსობის გამო წისა ტყუპისცალმა ხვიჩა ანთარიამაც კი დაიწუნა საცოლედ და, ეს დაუდგრომელი ჭორები რომ არა, გვიტუნიას ვინ ჩააგდებდა სათვალავში?!





ნიკო იზორია (ნიკო ოთხოზორია)



სამანა დგებუაძე



გადა მესხია



კაპიტონ ლოგუა

ის კვირა ჯურუმიას საუკუნედ ექცა. საქმე ხელიდან გაურბოდა. თუთუნი უქრებოდა. სამზადში ჭურჭელს აქოთქოთებდა მეუღლე. გოგონებს დაუცაცხანებდა. ძმის შარვალ-ხალათისთვის და ჩექმებისთვის ზრუნავდა წისა თუბალია. მერე მოღიავებული კარი ქარმა მიაჯახუნა და დალაქავებულმა სარკემ ჯურუმიას სახე აუკანკალა.

— არ დაგაგვიანდეს, რამეფრად მიუსწარი! — ვერც კი მიხვდა, საიდან შემოესმა, თანამეცხედრე უწა შენგელხეს ხმა იყო, წისასი თუ დანჯღრეული ფიქრების ექო.

საფეთქელში ქვანაკრავივით ირწეოდა ზღურბლზე. ისევ წისამ უშველა. გულის ჯიბეში ქათქათა ცხვირსახოცი ჩაუდო და მხარზე თავმიხუტებულმა ჩააცილა კიბეზე. დის სათნოებამ ჯურუმიას ჟანგიანი ლურსმანი ამოაცალა სულიდან და, როდესაც ერგეტელი ადელუების ასულის ლეჩაქმა გაუელვა თვალწინ, ფეხქვეშ მიწა გაუმყარდა. წარმოიდგინა, ვითომ ობლობაში გაზრდილი დაია წისა უბედნიერდებოდა და, რაჟამს ღვინომ თავისი ქნა, ჩვეული მომხიბვლელობით კოცნიდა ჭიქას. სიყვარულის მარადიულობას ამტკიცებდა. გვიტს ქარაგმულად წისასთან მეგობრობის წუთებს შეახსენებდა.?

— ჭოფიას ბიჭი ჟინი ანთარს დამსგავსებია, მოჭყუდუს მამის ბიძასავით გამოქცევიაო, — მეხივით გავარდა სოფელში ლხინის მესამე დღეს. აი, მაშინ დაიფიცა ჯურუმიამ, არასდროს ეთამადა.

— გვიტუნიას ლოდინი მობეზრდება ადელხეს! — მთელი სამი თვე წიკვინებდა დაწყებითის იატაკქვეშეთში ჭიჭე კვეკვე და, როგორც მოსალოდნელი იყო, ძუბა ჭანიას გაწიწმატებულმა მაჭანკალმა — და ბაბილინამ და შეურაცხყოფილმა პატარძლისიანებმა ანთარიების გინება-თათხვაში წაიღეს მზითევი ერგეტაში და წაიყვანეს ხელდაუკარებელი ქალიშვილი. მერე ნაგვიანევ ფოთოლცვენაში დედოფალს

გაქცეული გვიტის გამოჩენამ მაჭარივით დააფუცხუნა ოდაბადე. დიდი და პატარა ჭოფიას და ძუბას დორბლებს თავდაღწეულ ქალ-ვაჟს მისდევდნენ სასოფლო საბჭოსკენ...

### ყრუ-მუნჯი დები

ყრუ-მუნჯები არიან ჩემი დეიონერები — ელა და მინაკა, ბუტუტი. ჩითის ჭყეტელა კაბები აცვიათ დღემოსწრება. უამინდობისას იდაყვგამორღვეულ პალტოებს მოისხამენ მხრებზე. ქუსლებდაჭეჭყილ კალოშებში წადგამენ ფეხს. ელა უფროსია, ფაშფაშა, მინაკა — ძვალკანა და ფსორია. ცისფერი თვალები აქვთ და სიყვითლეშეპარული თმა. წვივებზე ჭორფლიანი კანი შემოჭკნობიათ. ისინი ცალ-ცალკე ჯერ არავის უნახავს. ყველგან ერთად დადიან, დუყლა ანთარიას წისქვილსა თუ ცირა შკვითინიას მაღაზიაში. წავლენ ფეხაწყობით, წაახრჭიალებენ მოყანყალე ურიკას, რომლითაც ხან ფქვილი მოაქვთ, ხანაც ნავთი. საგანგებოდ გახეხილი სპილენძის ქვაბივით უკრიალებთ ეზო-კარი. როცა ძალიან მოვენატრებით, შუკის თავში გამოვლენ ხოლმე. სოფლის ცენტრში მოფუსფუსე ადამიანებს გახედავენ, თან ბუტბუტებენ მათთვის ჩვეული კრუსუნით. ტყუილად არიან აუიას და ონერები?! მათ ტრიფოლიატის გამეჩხერებულ ღობეს მეზობლის ღორი, კამეჩი ან ძროხა თუ გაეხახუნა, ბუჭაჭა-ბუჭაჭას ძახილით გზისპირზე მიხერგილ ქვებს დასწვდებიან და ცოცხალ ღობეს მიგლასუნებულ პირუტყვს დაედევნებიან. როგორ იქნება, მათი ნასროლი ყურისძირში ან ჩანგალა რქაზე არ მიეხათქუნოს ბედდამწვარ საქონელს?! გამოედევნებიან ბუკონას მინდვრისკენ თუ ღობემორღვეული სამოხიელების მამულისკენ, თან გამვლელებს ხელების ქნევით უხსნიან თავიანთ გასაჭირს, რომ გაატიალეს ამათ, გაუვერანეს ცოცხალი ღობე და, თუ არ თანაუგრძნობ, თუ ღიმილი შეგეპარა, ვერავითარი სიკეთე გაგამართლებს მერე მათ თვალში.

სადაც უნდა განხონ, სადაც შეგხვდნენ, ჯიქურ შემოგაშტერდებიან, უნებლიე დამნაშავეს თავს დაგახრევინებენ, ხოლო, როცა სულმობრუნებული მგზავრი მუხლების ცახცახით გვერდით ჩაუვლი, მომუშტულ ხელებს ცერებთან შეყრიან, შეატყუპებენ და ისე დაატრიალებენ, გეგონება, თეთრეულს წურავენ ან ნავთის კასრს თავს უხრახნიანო. ეს მოძრაობა კარგად არის ცნობილი ოდაბადელებისათვის, ბუტუტი, და დების ენაზე კისრის წაწყვეტის ტოლფასია. ზმუილისმაგვარი ბგერები ახლავს ამ რიტუალს, მერე მიწაზე დაანარცხებენ წაგლეჯილ, არარსებულ თავს და ზედ შედგებიან, ფეხით გასრესენ. მტვრიან შარაზე აჩქარებულს უკან მოხედვის გეშინია, თითქოს, სადაც არის, ქვა უნდა მოგხვდეს ზურგშიო. ასე რომ, ვინც ელას და მინაკას ხელმარდიანობის ამბავში გათვითცნობიერებულა, ყოველთვის გამოძებნის დროს მათთან სასაუბროდ. გნებავთ, ცეცხლი ეკიდოს, მაინც შეუყოვნდება, აჰყვება ხელების უცნაურ ნახაზებს ვასაკასავით მონუსხული.

წეღან ცოცხალი ღობე ვახსენე და არ გაინტერესებს, როგორია?! ადამისჟამინდელი ტრიფოლიატა აქაიქ ამომხმარა. ჭუჭრუტანა-ღრიჭოებში ურთოთი თავდაჩეჩქვილი აკაციის სარებია ჩასობილი! ზოგან თუთის წკნელით ამოუწნავთ ის ცოცხალი ღობე, ზოგან ალუმინის ტაშტი აუფარებიათ და სხვაგან კიდევ — რკინის საწოლის ჟანგიანი ბადე. ყოველი ხვრელი წკირებით დაუგმანავთ და ფერად-ფერადი ჭინჭებით აუკრავთ ეკლიან ძირებზე, რაც ავი თვალისგან იცავს შემოგარენს. ავი თვალისაგან იცავს იქაურობას, აგრეთვე, ჯვარზე მოფარფატე ძონძებიც, ყოველ ათ ნაბიჯზე რომ აღმართულა ელასა და მინაკას სამოსახლოში. სექტემბრობით ტრიფოლიატის ყვითელი ნაყოფით ჯიბეებს გამოიტენიან გაკვეთილებიდან დათხოვილი მოსწავლეები და მიაბურთავებენ გზადაგზა. ის კი არა, უფრო თამამები ბალშიც შეიპარებიან და ხილსაც წაატანენ ხელს. ცოცხალ ღობეს, რომლის კენწეროებს მაკრატელი მისდღეში არ შეხებია, ხოლო ქვედა ნაწილს პირობითად ეთქმის ცოცხალი, ზამთარზაფხულ წყლით გაზიზინებული ღელე ჩაუდის. იქვეა შუკის სიღრმეში მოსახლე ხუბუშკიების სამანქანო ხიდიც, რომლის კაცის სიმაღლის წყალგამტარი მილი გადაუკეტავთ ყრუ-მუნჯ დებს, მიუყრიათ თუკი რამე ნაგავი მოჰყოლიათ ხელში, აქაოდა, გვტბორავს ზემოდან მოზღვავებული წყალიო და თავსხმების მერე კვირაობით დურდოში ყურყუმელაობს ხიდსიქითა მიწები. დიკელებმა გაბედეს ერთხელ ჯებირის მოშლა, მაგრამ დებმა მუგუზლების ტრიალით კინაღამ გადაბუგეს სამეზობლო და ამის შემდეგ რომელი ითავებდა იქიდან კენჭის აღებასაც კი?! ჯერ კიდევ მხნედ ჭრიალებს მათსას ხის ძველისძველი ჭიშკარი. ტალახში ნათრევი კამეჩის ფერი დაჰკრავს ქონგურებიანს და ტრიფოლიატის კბენია

▶

(დასაწყისი იხ. „ილორი", № 437-439, IX, 2018. ეს პუბლიკაციები როდი ნიშნავს მონუმენტური რომანის სრულად დაბეჭდვას. ჩვენ მის ადგილებს მოვიშველიებთ „ცნობიერების ნაკადის" მეთოდოლოგიის უკეთ გასაცნობად.

◀ტოტებით აბურდულს. ის ეკლები ღამღამობით ქურდბაცაცებისაგან იცავს იქაურობას. თითოეული მომტვრეული რტო თუ ნაქარი ხილი სულ მეზობლებს ბრალდებათ. ამიტომაც ხელმრუდებს სათითაოდ წააწყვეტენ თავებს მათთვის ჩვეული ღიჯინით და გულმოდგინედ ჩაფლავენ მიწაში. ისე, სიტყვამ მოიტანა და, იშვიათად იპოვით ოდაბადეში ადამიანს, ვინც ერთხელ მაინც არ ჩამარხულიყოს დების ჭიშკართან, არდაშელ ჰალიძონიაა ეს, გვიტ ანთარია, იაშა კოროხია — ქანქანესა, ჯიშიანი მარო გაბისკირხე, ფიშტოიანი დინა ადელუა, თუ ცირიბია შკვითინხე აფრაკული კოჩია ჰალიძონიას ტანდემურობით. პირველ-ორს გაუმაძღრობა ბრალდება.

როდესაც მათზე საუბრობენ, ფართოდ შლიან ხელებს, მთელს ქვეყნიერებას პირში იყრიან, ფუმფულა საგნებს ხატავენ, ლოყებს გამობუშტავენ, თითქოს მომხვეჭელთა სულიერ მდგომარეობას ნაწილ-ნაწილ თხზავენო. მერე *პლუ-პლუს* ძახილით მაჯებს ზურგს უკან მარდად ისვრიან. შკვითინხეს მოკაკულ ორ თითზე შეყენებული კოჩიას მონელებაში ადანაშაულებენ. შესაძლოა მომხიბვლელობაც შურთ მისი. სიარულში გამოაჯავრებენ ხოლმე, როგორც — ერთს, ისე — მეორეს. ქმარს ელა განასახიერებს, ცოლს — მინაკა. ცერებზე წანარნარდებიან, თეძოებს მიათამაშებენ, თანაც ჰაერში მოწყვეტილ უცხო სხეულებს დიდი ამბით იტენიან ყოველ მოხერხებულ ალაგას, რითაც ცხადლივ მიანიშნებენ მათ საეჭვო მიდრეკილებებს. თავზევით გაჩაჩხულ თითებს შეაპარპაშებენ, ჰუუუუო, ქშინავენ, თითქოს შკვითინხეს აბრეშუმის თმის დატყვევებას ლამობენო; ბოლოს თითებს დაძაგრავენ, რაც მათებურად ბევრს ნიშნავს, მომუშტავენ მარცხენას, ზედ გაშლილ მარჯვენა ხელისგულს დაარტყამენ და ბეჯითად დაატრიალებენ.

ვისი წაწყვეტილი თავი არ დამარხულა დეიონერების ჭიშკართან, ბუტუტი, — შამუგიების და ესართიების, მაკრონიების და კოროხიების; სამფუთიანი პურის ფქვილით მობაჯბაჯე შუტუ წყაროზიასი, სანთელივით გალეული ხარიტონ შენგელიასი, ბრეზენტიანი ბუჯგი გარაგანიასი, მოთოხარიკე ქვაფუ ჯიჯიხიასი, ველოსიპედს ქვეითად ადედვნებული ცოლ-ქმარი დინა ადელუა და გერა ჯაგანიასი, დაკეცილი ქოლგით წამომსასტიკებული ძუბა ჭანხესი, მეპანაშვიდე ეკელების თუ მექორწილე დიკელების. ვის ფიზიკური ნაკლი შეიწირავს, მავანს — მომეტებული სილამაზე. ზოგს სიმდიდრე უმუხთლებს, სხვას — ხელმოკლეობა. უმეტესს— მრავალშვილიანობა დაღუპავს, დნარჩენს — შინაბერობა. ათასს უზნეობა ნაცრავს, ორ იმდენს — პატიოსნება. მოჭრილად რომ ვთქვათ, მთელი აბსტრაქტული აკლდამაა ელასა და მინაკას მოყანყალე ჭიშკართან.

შებინდდება თუ არა, ეკლიანი მავთულით ახლართავენ შემოსასვლელს. ფიცრულში ჩაირაზებიან, რომელშიც ციდა სარკმლებს მიკოსებული ორი საწოლი ძლივს ეტევა. შუაგულში, სოხანეზე, ოთხკუთხა მაგიდა დგას, ხოლო ერთკარედთან კიბე აყუდია. იქ, მაღლა, ჯადოსნურ სხვენზე, ინახება ტკბილისკვერი და ჩამიჩი, ჩირი და ჩურჩხელა, თხილი და კაკალი, თაფლი და ორნახადი არაყი. ფეთხუმ დიასახლისს, როცა დაქცევაზე მისული ოჯახი დაუპატიჟებელი სტუმრებით აევსება, შუაღამეც რომ იყოს, უცილობლად მომძებნიან და დეიონერებისკენ წამიძღოლიებენ. წვალებით შევაღწევთ მათსას. საალერსო სიტყვებით ვუხმობთ. სარკმელში ანთებულ ასანთს ვატრიალებთ, თითის წვერებზე ვდგებით. როდის-როდის რომელიმე შეგვნიშნავს. მუხლზე წაუჯიკავებს მეორეს. წამოიმართებიან და ათასი კაუჭითა და რაზა-კოჭაკით ჩარაზულ კარს გამოაღებენ.

სხვენზე, როგორც წესი, მინაკა აცოცდება. ელა ჭრაქს მიუშუქებს კიბიდან. დიდხანს ფოთიალებს იქ უმცროსი და. წანწკარებს არაყი. ჩხრიალებს კაკალი და თხილი. მე თუ ვერ მიპოვეს, ოდაბადელები ეგრევე ბულოხას ან დადუ თუბალიას დაუტრიალდებიან. მანდარინს ან ტყლაპს უეჭველად ჩამოუტანენ წვეულებს. მხიარულობენ. რამდენჯერმე რბილში შემოჰკრავენ ჩემს უმაგალითო მოწაფეებს დამგზავრებულ დედაკაცს. ასე ესიყვარულებიან გათხოვილ ქალებს, გეგონებათ, უფროსი დაQონერის შვილის ამაღამდელ სიამოვნების წყაროს ამოწმებენო. მერე ნივრისსუნიან ხელისგულებს თვალებზეააფარებენ, რომლის ღარებში სიმინდი თუ ვერა, მდოგვის მარცვალი უსათუოდ ჩაეტევა.

ჰაი, ჰაი, გაწყდა თქვენი სინსილა, რას თხოვდებოდით, არ გერჩივნათ ჩვენსავით ყოფილიყავით?! შვილების გაჩენას რომ გადაჰყოლიხართ, გიჯობთ, ცოტათი გატოკდეთ და ბნელში წანწალიც აგშორდებათო, ეუბნებიან ამით. ვერმიხვედრილი ქალი ალანძული მომაჩერდება და მეც ეგრევე ტუჩებს ავაცმაცუნებ. თავს ვაკანტურებ. მანდილოსანს ათას ცოდვას ამოვუქექავ. დეიონერები მოჭარბებული ხალისით სხმარტალებენ. მუხლებზე ხელებს ირტყამენ, ხორხოცობენ, იგრიხებიან, გადაფიჩინდებიან. როგორ უნდათ, კიდევ რამდენიმე წუთით შეგვაყოვნონ მათსას ანგელოზებივით შემოფრენილები. დედაკაცს თითებს უტრიალებენ ცხვირწინ, მაგრამ ქალი იბნევა, ფრთხილობს, ეშინია, რაიმე უადგილო არ წამოსცდეს, თანაც ვერ გაურკვევია, რითი დააკმაყოფილოს მათი ცნობისწადილი.

რა უნდათ ჩემი ცოდვით სავსეებსო, ჩამეკითხებიან მეგზურს და მეც ჩავერთვები. სოფლის ცხელ-ცხელ ამბებს ხელისგულზე გადავუშლი. მაჯებს მიმოვისვრი, თვალებს ვბრეც, ყირაზე გადავდივარ, არაადამიანურად ვატკარცალებ დეი ონერებს. ამასაც არ ვჯერდები. ათასნაირ გმირობის სურათს ვხლართავ. მოვუთხრობ, მგზავრობისას ღობის ძირას მიწვენილ ქალს კაბა რამდენზე ავუწიე, რამდენი გროში და უზალთუნი ალმოვუჩინე. მე გამიმდიდრებია დეიQონერების ენა. ყოველ ნივთს, მოძრაობას თუ მოვლენას შესატყვისი ჟესტი დავუძებნე. თითოეულ გრძნობას ჩემეული მადლი წავცხე: ულვაშზე ხელის მოსმა კაცს გულისხმობს, თმაზე გადავლება — ქალს, სალოკი თითების შეერთება — ცოლქმრობას, დაშორება და ძირს დაგდება — სიკვდილს. ნეკზე კბენა კაკალია, ყანყრატოზე შეხება — არაყი. საფეთქელზე თითის დატრიალება — ოფოფების სიმრავლე, წელის შექანავება — ქალური სისუსტე. მათგან ათვისებულს თავადაც წავუმატე რაცხარუცხა და ახლა მათი უმეტოქო თარჯიმანი ვარ.

დეი ონერებს შებინდებულზე მივაკითხავ ხოლმე. ფიცრულში მოურიდებლად შევალაჯებ, ბუხარს მივეფიცხები, ისინი კი, თითქოს ზღვის მეწამულ ტალღებს ეთამაშებიანო, ზეზეურად იგრიხებიან. უსაშველოვდება ღამე. გადის დრო და მიქრის ზემორე მამლების ყივილით შეფუცხუნებული ზეცა. დიახ, ერთადერთი მე ვარ, ბუტუტი, ყრუმუნჯი დების მეგობარიცა და ნუგეშისმცემელიც, ლობე-ყორე მძრომელი ჭიჭე კვეკვე. ვის მწუხარებას სახედამანჭვით ვამძაფრებ, ვის ბედნიერებას ვათიმთიმებ ზეაწეული. მჟავე პრასს ვაწკლაპუნებ, თან დაუძინებელ მტრებსაც ვაცნობ სათითაოდ, მაგრამ ეგ არავისთან დასცდეთ უნდა. მთავარია მოფრთხილება. თუ გაამხელენ, ზეციერი შერისხავთ უეჭველად. ღმერთის კი, იცოცხლეთ, მამაჩვენზე ნაკლებად როდი ეშინიათ ელას და მინაკას; ამიტომაც, როცა საქონელი ეკარგებათ, სკამებისა და მაგიდების მუხლებზე მაშინვე ფერად-ფერადი ჭინჭები გაინასკვება ხოლმე და ილბალზეც, მეორე თუ მესამე დღეს, როცა იმ პერიოდში გამასპინძლებულ ოჯახს დამწყვდეულ პირუტყვს კარგად გამოვაწველინებ, უცილობლად მე ვიპოვი ზღვისპირა ჭურიასა თუ სატანჯოს აკლდამების შუაგულში. უცილობლად მგლების ხროვას, დათვის ტორს ან ჟინი ანთარის სისხლიან კლანჭებს გამოვსტაცებ მათ. მოვუთხრობ, კბილებდაკრეჭილი კეთროვნებით ცოლის და ონერებზე თავდასასხმელად როგორ ემზადება ცხვირპირმოჭმული სიძე და, თუ სადმე ქაღალდის ფული გადაუნახავთ, აჯობებს, მე მომაბარონ. კირილე გოგოხიას ხალხს მუშაობას ვუიოლებ. ხანდახან პურის ფქვილის თუ კალოშების საყიდლად ვუბრუნებ კიდეც ათიოდე თუმანს და ცხადია, ელა და მინაკა არაფერს იშურებენ და ონერის ობოლი შვილისთვის. ვალში არც მე ვრჩები. ამას წინათ, აი, იქიდან, იქიდან, საგანგებოდ მათთვის ელექტრონი ჩამოვიყვანე, ბუნებრივია, იმ დაზოგილი ფულით, რომელიც შესაძლოა ხვალ-ზეგ ჟინი ანთარმა წაღლიტოს და ალგზნებით ვხატავ სხვადასხვა დროს ჭურუევიჩის მიერ სატანჯოში ყელგამოღადრულ ადამიანებს, წამოთქრიალებული სისხლის პეშვით შეხვრეპის სურათს. უთოც ვუყიდე, სარეცხი მანქანაც. ქალაქელი დასტაქარი გურამ დგებუაძეც ვაახლე ერთხელ ლოგინად ჩავარდნილ მინაკას. სასთუმალთან მოჩოჩებული ტაბურეტი წამლებით გავუვსე. ოდაბადეში კი, ბაყაყების ყურისწამღებ ყიყინში, ატივტივდება თუ არა დეი ონერების ზეალმტაცი ხმიანობა, იქაური დედაკაცები ეშმაკური ღიმილით გადახედავენ ერთმანეთს — აშკარად იგრძნობა, რომ ელასა და მინაკას წარმოდგენაში ვიღაცის სინდისნამუსის საძირკველს კიდევ ერთი აგური გამოეცალა.


ქიონია ფაცურია


არუშანგ უზარაშვილი


ლიანა შამუგია


ვახტანგ სეჯანია


ლენტო კარდუხია
(ლენტო ფეტელავა)

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# ავტორის კომენტარები

ჩვენ აქამდე რამდენადმე გვისაუბრია ნაწილისა და მთელის ურთიერთდამოკიდებულებზე რომანში, ანუ ნაწარმოების მთლიანი ქარგისა და ამ სხეულის ასაშენებელი ნოველების თანაფარდობაზე.

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ძნელად დაასახელებ ნაწარმოებს, სადაც შენაკადი არ კვებავდეს მთავარ მდინარებას. ადრე მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ ჰომეროსის ილიადადან და ოდისეადან მოყოლებული, ჰორაციუსის ენეიდა, დანტეს ღვთაებრივი კომედია, რუსთაველის ვეფხისტყაოსანი, სერვანტესის დონ კიხოტი ფაქტობრივად ამ პრინციპითაა აშენებული.

აი, შევხედოთ ჩვენს თვალწინ აღმართულ ცათამბჯენ ციხე-სიმაგრეს, ათეულათასობით გათლილი ლოდია დაწყობილი ერთმანეთზე შენობის შესაკრავად. ის ლოდები ცხადლივ აღიქმებიან ჩვენს მხედველობაში, მაგრამ ორი იმდენი ღრიჭოს შემავსებელი კენჭი და ქვა დამალულია, შეუიარაღებელი თვალით მათ ვერ შეამჩნევ. ისინი ულტრაიისფერი სხივების ფონზე მარგალიტებივით ბრწინავენ, როგორც დამოუკიდებელი ერთეულიები რაღაც გრანდიოზულის სამსახურს ჩაკირულები.

თუკი რამდენადმე ნიშანდობლივი მაგალითი მომიშველებია, რომანის ალმაგობაც მსგავსია დაახლოებით.

ახლა შევხედოთ საკუთრივ ნოველებს:

თუკი მათ თავთავიანთი სათაურებით გამოვაცალკევებთ ერთმანეთისგან, მივიღბთ ნოველების კრებულს; და თუკი ეს ნოველები ერთი პიროვნების გარშემო დაირაზმება, ამ შემთხვევაში გვექნება ნოველათა ციკლი; და თუკი ნოველთა ამ ციკლს წარმართავს რაღაც საერთო დინამიკა — მოვლენა ქრონოლოგია, ვღებულობთ რომანს.

აი, სად იმტვრევდნენ თავს სხვადასხვა ეპოქის მწერლები, რათა უფრო შთამბეჭდავი რაკურსით წარმოეჩინათ თავიანთი ნაწარმოები: თეთრი ვეშაპის დევნა (მელვილი, *მობი დიკი*), უცხო მოყმის ძებნა (რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*), აქილევსის რისხვა (ჰომეროსი, *ილიადა*), პორტრეტი, რომელიც ბერდება გმირის ნაცვლად (ოსკარ უაილდი, *დორიან გრეის პორტრეტი*), შაგრენის ტყავის შეკუმშვა გმირის სურვილის განხორციელების შესატყვისად (ბალზაკი, *შაგრენის ტყავი*) და ა. შემდეგ.

რომანში თემებს შორის რაღაც კანონზომიერების დასადგენად ხშირად იყენებენ მგზავრობას, როგორც ცხოვრების გადმოცემის ხერხს (სერვანტესი, *დონ კიხოტი*); იყენებენ ხიდის მშენებლობას, როგორც ქრისტიანულ-მუსულმანური სამყაროს თანაქმედების საშუალებას (ივო ანდრიჩი, დრინის ხიდი); იყენებენ ტაძრის აგების პროცესს, როგორც მშვენიერებისა და ძალაუფლების ორთაჭიდილის ასპარეზს (გამსახურდია, დიდოსტატის მარჯვენა); იყენებენ დაკითხვის ოქმებს, რომელთა მეშვეობით ცოცხლდება გმირთა ჭიდილი ეშმაკეულ ძალასთან, იმპერიასთან, თითქოსდა სისხლხორცი მუშნი ზარანდიას სახით (ამირეჯიბი, *დათა თუთაშხია*); იყენებენ თავად სამშობლოს, როგორც პიროვნებათა სულის ამწვერვალების გამოვლენის უმთავრეს მასტიმულებელ ძალას (რევაზ მიშველაძე, *წამება*); და მისთ.

მოკლედ, ყველა მწერალი თანმიმდევრულ რაღაც პინციპს ირჩევს ნაწარმოების დედაბოძად, მაგრამ ამ ყველაფერს განზე გააჩოჩიალებს *ცნობიერების ნაკადის* ლიტერატურა და თხზულების შემკონავი დროის მდინარების, აქილევსის რისხვის, დორიანის პორტრეტის სახელარულობის, შაგრენის ტყავის კუმშვადობის მისიას ამიერიდან კისრულობს თავად გმირის ცნობიერება, თავად გმირის აზროვნების პროცესი. უკვე მწერალს არ სჭირდება გაანგარიშებები მოვლენათა მიზეზშედეგობრიობის ასპექტით. არ სჭირდება მათი თანხვდომა დროის მდინარების მხრივ. აქ უკვე ყველაფერს წარმართავს გმირის შინაგანი სამყარო, მისი ტემპერამენტი, ხასიათი მარტივი ენით.

მართალია გმირის მეობის გადმოცემა ფიქრის თუ მეტყველების ენით გარკვეულწილად ემორჩილება დროს, სივრცეს, როგორც მისი არსებობის მადასტურებელ განზომილებებს, მაგრამ მკითხველისთვის ეს ყველაფერი ნაკლებადაა თვალში საცემი.

ზემოთ მოშველიებული „სიცოცხლემისჯილის“ ორი ნოველიდან პირველი მწერლის ენითაა გადმოცენული, ხოლო მეორე პერსონაჟის მონაყოლია, მაგრამ ორივე — ნაწარმოებში მთავარი გმირის მთავარი მიზნისკენ მსწრაფველობითაა ნაკარნახევი და გააჩნია აუცილებელი ინფორმაციული დატვირთვა მისი წარმომავლობის თუ შინაგანი მდგომარეობის გასარკვევად.

გვითქვამს, *სიცოცხლემიჯილი* ტრადიციულისა და *ცნობიერების ნაკადის* ლიტერატურის ერთგვარი შერწყმაა. ტრილოგიის მომდევნო წიგნებში ეს პროცესი უჩუმარი ფიქრებით თუ აზრის მდინარებით უფრო და უფრო გადაიხრება გმირის შინაგანი სამყაროს მეტი ნათელფენისკენ, ყველა შემთხვევისათვის, ცნობიერების ნაკადის ლიტერატურამ გადასინჯა თვალისთვის აღქმადი ადრინდელი თემები, წინ წამოსწია სიტყვის ფენომენი, ვერბალური მხარე და შექმნა ისეთი სიტუაცია, რომელმც გამორიცხა მკითხველის ზერელე დამოკიდებულება წიგნთან, თითქოს გადაკითხვით შესაძლებელი იყოს ნაწარმოების შინაარის გამოტანა. პირიქით, *ცნობიერების ნაკადის* ლიტერატურამ გამიჯნა ერთმანეთისგან ჭეშმარიტი და შემთხვევითი მკითხველი, ანუ გზა გაუხსნა ღრმააზროვანი მასალის ესთეტიკურ აღქმას და ჩვენც მოწიწებით თავს ვხრით უდიდებულესობის წინაშე.

# წმიდა ცოტნე დადიანი — საქართველოსთვის

## თავდადებული და აღმსარებელი (XIII)



**წმიდა ცოტნე დადიანი — „კაცი პატიოსანი და სათნოებიანი და ბრძოლასა შინა სახელოვანი“ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XIII საუკუნეში. ამ დროს საქართველო მონღოლთა უღელქვეშ იტანჯებოდა. რუსუდან მეფის გარდაცვალების შემდეგ (1245 წელს) მონღოლებმა საქართველოს მთავრებს უმძიმესი ხარკი დაუწესეს და თან ბრძოლებში მონაწილეობაც დაავალეს. ქვეყნის მდგომარეობა იმდენად გაუსაძლისი გახდა, რომ საქართველოს მთავრებმა გადაწყვიტეს, გაერთიანებული ძალებით შებრძოლებოდნენ მტერს.**

კოხტასთავს დადგენილ შეკრებაზე მთავრებმა „დაამტკიცეს ომი, და დადვეს პაემანი ქართლს შეკრებისა“. ცოტნე დადიანი, „კაცი კეთილი და სრული საღმრთოთა და საკაცობოთა“, და რაჭის ერისთავი ლაშქრის შესაკრებად წავიდნენ. როგორც კი თათრებმა ქართველთა მთავრების ფარული შეკრების შესახებ გაიგეს, მაშინვე კოხტასთავს გაემართნენ, იქ შეკრებილი ყველა ქართველი დიდებული დაატყვევეს და ანისის ქვეყანაში, შირავაკანში წაასხეს.

შეკრების მიზეზად ქართველები მონღოლთათვის ხარკის აკრეფას ასახელებდნენ. მონღოლებმა მთავრები გააშიშვლეს, ხელ-ფეხი შეუკრეს, ტანზე თაფლი წაუსვეს და, მშიერმწყურვალნი, პაპანაქება სიცხეში დატოვეს, თან ყოველდღე შეკრების მიზეზს ეკითხებოდნენ.

როცა დათქმულ დროს ცოტნე დადიანი გამოცხადდა თავისი ლაშქრით და შეიტყო მომხდარი, **„მწუხარე იქმნა უზომოდ, და თჳსად სიკუდილად და სირცხჳლად შეჰრაცხა საქმე იგი, და წარავლინა ლაშქარი თჳსი, და ორითა კაცითა წარვიდა ანისად, დამდები სულისა თჳსისა და აღმსარებელი მცნებისა უფლისასა“.** ცოტნემ იხილა სასიკვდილოდ განწირული თანამოძმეები, ცხენიდან ჩამოხტა, სამოსელი გაიხადა, თვითონ შეიკრა ხელ-ფეხი და გვერდით მიუჯდა მათ.

მონღოლებმა ცოტნეს მოსვლის მიზეზი ჰკითხეს. **„ჩვენ ყოველნი ამად შევიკრიბენით, რათა განვაგდოთ ხარაჯა თქუენი და ბრძანებაი თქუენი აღვასრულოთ — ეს იყო შეკრება ჩუენი. აწ თქუენ ძჳრის-მოქმედთა თანა შეგვრაცხენით, და მე ამის ძლით მოვედ წინაშე თქუენსა, რათა გამოიკითხოთ, და უკეთუ ღირსი რამე სიკუდილისა უქმნიეს, მეცა მათ თანა მოვკუდე, რამეთუ თჳნიერ ჩემსა არარა უქმნიეს; უკეთუ ცხოვნდენ, მათ თანა ვიყო“,** — უპასუხა ცოტნემ.

ცოტნე დადიანის ასეთმა თავდადებამ იმდენად იმოქმედა მონღოლებზე, რომ მათ ქართველების განთავისუფლება გადაწყვიტეს. **„ყოველთა ქართველთა შენ მოგანიჭებთ და შენდა მინდობილ ვართ“,** — უთხრეს მათ ცოტნეს და ყველანი გაათავისუფლეს.

1259 წლის მონღოლების წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში ცოტნე დადიანის სახელი აღარ ჩანს. ვარაუდობენ, რომ ამ დროისათვის ცოტნე დადიანი უკვე გარდაცვლილი იყო.

საქართველოში ყველამ იცის ცოტნე დადიანის შესახებ, მისი გმირობა ყოველთვის სარწმუნოების, სიყვარულისა და თავდადების მაგალითი იყო და ერი ყოველთვის წმიდანის პატივს მიაგებდა მას.

წმიდა სინოდის 1999 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით ცოტნე დადიანის წმიდანად შერაცხვა იყო მართლმორწმუნე ერის ნების გამოხატულება, ამიტომაც ყველამ გაიხარა ახალი ზეციური მეოხის დადგინებით.

# აბაშის რაიონის სოფელ ნორიოში მთავარანგელოზების სახელობის ტაძარი შენდება



**აბაშის მუნიციპალიტეტში მშრომელი, გამრჯე, საზრიანი ადამიანებით დასახლებულ სოფელ ნორიოში, მეუფე პეტრეს ლოცვა-კურთხევით საფუძველი ჩაეყარა მთავარანგელოზების სახელობის ტაძრის მშენებლობას. ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა ამ კეთილი საქმისთვის აგური, ცემენტი და სხვა სახის სამშენებლო მასალა შეაგროვეს. შეგროვდა გარკვეული რაოდენობის თანხაც, მაგრამ მშენებლობის პროცესის დასაჩქარებლად თანადგომა მაინც საჭიროა, ამიტომ ,,საქართველოს ბანკში“ გახსნილია სპეციალური ანგარიში ტაძრის ასაშენებლად.**

**ანგარიშის ნომერია:**
**GE53BG0000000680333800**

თანხის გადარიცხვის შემთხვევაში ანგარიშის ნომერთან ერთად მიუთითეთ: აბაშა, სოფ. ნორიო.

მსურველებს ვთხოვთ, შეგვეწიონ ამ საღვთო საქმის ბოლომდე კეთილად აღსრულებაში, რათა მუნიციპალიტეტის ყველაზე დიდი ნორიოს თემის ცენტრალურ უბანში აშენდეს წმინდა ტაძარი და ღვთის კურთხევა არ მოაკლდეს კეთილმოსურნე ადამიანებს.

**მალხაზ გრიგოლია**



**სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ დიდი მწუხარებით იუწყება, რომ უმძიმესი ავადმყოფობის შემდეგ 48 წლის ასაკში გარდაიცვალა**

**დავით (დათო)**
**ზაურის ძე ქობალია**

**და სამძიმარს უცხადებს მის ჭირისუფალთ...**

**უფალმა გაანათოს მისი სული...**

**ჩხონაფა ცოფედას დათო ქობალიაში შურიში...**






**სულ ახლახან, გამოვიდა გიორგი (ტულუში) სახოკიას მიერ მეგრულ ენაზე ნათარგმნი ლეონარდო და ვინჩის ზღაპრები, ლეგენდები, იგავ-არაკები.**

**არიკეფი, გუმარაგადეფი (სარკულ-მორკულეფი) იანგეეფი.**

არძაშოულო საჩინო რე, ნამდა ლურწემ იტალიარი მახანტალ ხვამილაფირ რდუ ლიტერატურიშულ ნაქიმინუეფიშ აკორსხუალათ ხოლო. ორთაშ მაშუში ფორმეფიშ გორუაქ დო გინქ მიარე ფანტასტიკიშურ, საარკო ღვათ გობურსუ დო თიქ მუში არსიმეფი, ნჭუაფეფი დო ზნობიშიერი კრედო გიმოხანტუ არიკეფს, გუმარაგადეფს დო იანგეეფს.



# სასწაულმოქმედი პრეპარატები «დომენტოლი» და «გაგენოლი» მუდამ იქნებიან თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში




დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტულ სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში. C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის საქმეს წარმატებით აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.

კოორდინატებია: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო „ისანთან“), ყოველდღე — 10-დან 16 საათამდე.

**ტელ: 593-22-66-51; 593-62-28-48**

**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**


ISSN 1987-8966 „ილორი“

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ბაქრაძის ქუჩა №6
234-32-95

მთავარი რედაქტორი: ეკა ნასყიდაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით: gazeti-ilori@mail.ru (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ „ილორის“ გაცნობა შეგიძლიათ „საქინფორმის“ ვებგვერდზე www.saqinform.ge